პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 196 (20287) ✦ ხუთშაბათი, 25 აგვისტო, 1988 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სფეროს ძირეული გარდაქმნის ღონისძიებათა შესახებ", რომლის პროექტი მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმმა.

დადგენილებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ პარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები, სამინისტროები და უწყებები მეტ ყურადღებას უთმობენ მომსახურების სფეროს განვითარების საკითხებს. გაიზარდა მოსახლეობის მომსახურების მოცულობის მატების ტემპი, გაფართოვდა მისი ასორტიმენტი.

მაგრამ ფასიანი მომსახურების სფერო ჯერ ისევ ხელმიშვებულია, ნელი ტემპით ვითარდება. ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნა მრავალი სახეობის ფასიან მომსახურებაზე, კვლავ დაბალია მისი წილი სამომხმარებლო ხარჯებში. წინანდებურად დიდი განსხვავებაა ქვეყნის რეგიონებს, ქალაქსა და სოფელს შორის მომსახურების მოხმარებაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ ამოცანა გარდაქმნან ფასიანი მომსახურების სფერო, მკვეთრად დააჩქარონ მისი განვითარება და ძირეულად გააუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურების ხარისხი იმ საფუძველზე, რომ შექმნან თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მომსახურების გაწევაში ჩააბან ყველა საწარმო და გაერთიანება, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, შექმნან კოოპერატივების განშტოებული ქსელი, განავითარონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, სრულყონ სამეურნეო მექანიზმი ფასიანი მომსახურების სფეროში, ფართოდ დანერგონ სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპები მოსახლეობის ფასიანი მომსახურებისათვის საწარმოთა და გაერთიანებათა საქმიანობაში, აღმოფხვრან დაუსაბუთებელი შეზღუდვები, რომლებიც ხელს უშლის შრომითი კოლექტივების, კოოპერატივებისა და იმ პირთა ინიციატივას, რომლებიც ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ეწევიან.

გათვალისწინებულია გაძლიერდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა სხვადასხვაგვარ მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. დასახულია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონეებში განსხვავებათა დაძლევას.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ ეტაპობრივად გადაწყვიტონ შემდეგი ამოცანები:

1990 წლამდე — 15-20 პროცენტით გაადიდონ ყოველწლიურად მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობანი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსურ პროგრამასთან შედარებით და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის საერთო მოცულობა გაზარდონ 1990 წელს 72,4 მილიარდ მანეთამდე, უზრუნველყონ, რომ მოსახლეობის ყველა ფენას დაუბრკოლებლად გაეწიოს არადეფიციტური მომსახურება;

მეცამეტე ხუთწლედის დამლევისათვის — ძირითადად დააკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნა ფასიან მომსახურებაზე, 119,2 მილიარდ მანეთამდე გაადიდონ მისი რეალიზაციის მოცულობა 1995 წელს, არსებითად გააუმჯობესონ ამ საფუძველზე მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურა, ამასთან 19 პროცენტამდე გაზარდონ ფასიანი მომსახურების წილი ამ ხარჯებში.

მოსახლეობის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის გეგმების პროექტებით დასახულია გაითვალისწინონ საყოფაცხოვრებო და გამაჯანსაღებელ მომსახურებათა, აგრეთვე ტურიზმთან და დასვენებასთან დაკავშირებული და გადიდებული მოთხოვნის სხვა მომსახურების პრიორიტეტული განვითარება.

განისაზღვრა კონკრეტულ სახეობათა მომსახურების განვითარების მთავარი ამოცანები.

დასახულია 1995 წელს საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა 2,3-ჯერ გაიზარდოს 1987 წელთან შედარებით, განვითარდება მომსახურება, რომელიც ხელს უწყობს ოჯახში შრომის დანახარჯების შემცირებას (თეთრეულის რეცხვა, ნივთების ქიმიური წმენდა, ტანსაცმლის შეკეთება და სხვა სახეობათა სამუშაოები). მოსახლეობის შეკვეთით საცხოვრებელი სახლების, (ბინების, სახლების) რემონტისა და მშენებლობის, მებაღეობის ამხანაგობებისათვის შენობათა აგების, გარაჟებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობის საქმეში მომსახურება გათვალისწინებულია ყოველწლიურად 1989-1990 წლებში სულ ცოტა 30 პროცენტით გაიზარდოს, ხოლო მეცამეტე ხუთწლედის დამლევისათვის — დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნა ამ მომსახურებაზე. გათვალისწინებულია ძირითადად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილებანი სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტზე ტექნიკური მომსახურების სადგურების ქსელის ფართოდ განვითარების, მათი მუშაობის ცვლიანობის გადიდების,

(დასასრული მე-2 გვ.).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

საკავშირო დროშა მოიპოვეს

ბათუმი. ბამბუკის ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა 6 თვის შედეგებით გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, და სსრ კავშირის ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

საწარმომ 6 თვის გეგმა — 101,2 პროცენტით, ხოლო სახელშეკრულებო ვალდებულებით მიწოდებისა — 100 პროცენტით შეასრულა. ფაბრიკა თვითდაფინანსების მეთოდით მუშაობს, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ზრდის ტემპი და საერთო წარმატება. შარშანდელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 7,2 პროცენტით, ხოლო პროდუქციის გამოშვება 4,1 პროცენტით გაიზარდა. დაგეგმილთან შედარებით მიღებულია 100 ათასი მანეთი მოგება.

▼▼

სამტრედიელთა წარმატება

ხუთწლედის მესამე წელს განსაკუთრებით კარგად ირჯებიან სამტრედიის რაიონის მშრომელები და წარმატებებსაც აღწევენ. როგორც პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა **თამაზ მიქაძემ** „კომუნისტის" რედაქციას აცნობა, თავი ისახელეს მებოსტნეებმა. მიუხედავად ცუდი ამინდებისა, საგეგმო 1.380 ტონის ნაცვლად დაამზადეს და საკავშირო ფონდში გაიგზავნა 3.634 ტონა ბოსტნეული. წლის ბოლომდე ქვეყნის სამრეწველო ცენტრებს დამატებით გაეგზავნება 1.200 ტონა ხარისხოვანი ბოსტნეული.

ყოჩაღობენ მეხილეები. მათი წყალობით საგეგმო 5.600 ტონის ნაცვლად დამზადდა და სახელმწიფოს მიეყიდა 6.600 ტონა ხილი. საკავშირო ფონდში გადაიტვირთა 90 ტონით მეტი, ვიდრე დავალება ითვალისწინებდა. წლის ბოლომდე კიდევ 2.500 ტონა ხილი დამზადდება.

მეაბრეშუმეთა ნაყოფიერი გარჯის შედეგად 48 ტონის ნაცვლად 54 ტონაზე მეტი აბრეშუმის პარკი დამზადდა.

ახლა რაიონში წარმატებით მიმდინარეობს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა, პირუტყვისათვის საკვების დამზადება. 4.000 ტონის ნაცვლად დამზადებულია 5.700 ტონა სენაჟი, 420 ტონით მეტი, ვიდრე შარშან დამზადდა.

▼▼

საკვები ბაზის განმტკიცებით

მიმდინარე ხუთწლედში თელავის რაიონის სოფელ კონდოლის კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მეცხოველეობაში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: აშენდა საქონლის ფერმის შენობა, გაიზარდა საკვები კულტურების ფართობები და მოსავლიანობა. შედეგმაც არ დააყოვნა: წლიდან წლამდე იზრდება პირუტყვის სულადობა, ხორცის და რძის წარმოება. განვლილ შვიდ თვეში კონდოლელმა მეცხოველეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს საგეგმოზე 3 ცენტნერით მეტი ხორცი და 3 ტონით მეტი რძე.

▼▼

დაიწყეს სილოსის ჩადება

სასილოსე სიმინდის აღებას ცხაკაიას რაიონში პირველები შეუდგნენ თეკლათის სამეურნეობათშორისო მეცხოველეობის საწარმოს საკვებწარმოებლები. მიწათმოქმედებმა კონკრეტული მიზანი დაისახეს: გადაჭარბებით შეასრულონ წლიური საწარმოო დავალება და დაამზადონ 14 ათასი ტონა სიმინდის სილოსი.

პირუტყვის საკვებისათვის განკუთვნილი სიმინდის მწვანე მასის მოსავალს საზოგადოებრივ მეურნეობებში 800 ჰექტარი უკავია. მუშაობის ეს მნიშვნელოვანი უბანი აქ მიანდეს იჯარით მომუშავე თხუთმეტ სამეურნეოანგარიშიან ბრიგადას. ძირითადად მათმა გამართულმა, უნარიანმა მუშაობამ, საბოლოო შედეგით დაინტერესებამ მისცა საშუალება რაიონს შარშან ჰექტარზე საშუალოდ მიეღო 280 ცენტნერზე მეტი წვნიანი საკვები. მიმდინარე სეზონში საკვებწარმოებლებმა გადაწყვიტეს გადააჭარბონ ამ საწარმოო მიჯნასაც. წლიური გეგმის თანახმად, რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა 19200 ტონა სიმინდის სილოსი უნდა დაამზადონ.

▼▼

მებოსტნეთა ნობათი

აბაშა, 23 აგვისტო. ნაესაკოვოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა თავი ისახელეს შალალხარისხოვანი და იაფი ბოსტნეულის წარმოებით.

დღეისათვის აქ მოიწიეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 560 ტონა კომბოსტო, ხახვი და ბოსტნეული — 60 ტონით მეტი ვიდრე წლიური გეგმა ითვალისწინებდა. ყოველი ცენტნერი კომბოსტოს, ხახვის, პატისონისა და სხვა პროდუქტების თვითღირებულება კი 4,7 პროცენტით შეამცირეს.

▼▼

არის წლიური გეგმა

თერჯოლა, 23 აგვისტო. ნახშირღელელმა მეჩაიეებმა რაიონში პირველებმა ვადაზე ადრე შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრიფეს და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩააბარეს 156 ცენტნერი ნედლეული. 6 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა.

ჩაის კრეფა გრძელდება.

▼▼

ორბიტის ამბები

ფრენის მართვის ცენტრი. დაიწყო ვლადიმერ ტიტოვისა და მუსა მანაროვის კოსმოსური ვახტის 36-ე კვირა.

23 აგვისტოს ეკიპაჟი მონაწილეობდა საერთაშორისო აეროკოსმოსური ექსპერიმენტის „ტიან-შან-ინტერკოსმოს-88" პროგრამით გამართულ გამოკვლევებში. ამ ექსპერიმენტის მიზანი, რომელიც ხორციელდება გეოლოგიის ინტერესებისათვის, არის, კერძოდ დედამიწის სეისმურად საშიში რაიონების შესწავლის დისტანციური მეთოდებისა და საშუალებების სრულყოფა. სტაციონარული ფოტოკამერებისა და სპექტრომეტრიული აპარატურის საშუალებით კოსმონავტებმა შეასრულეს ქალაქ დუშამბეს აღმოსავლეთით და ტოქტოგულის წყალსაცავის რაიონში საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ცალკეული უბნების ფოტოგადაღების რამდენიმე სერია.

გრძელდება ასტროფიზიკური გამოკვლევები „რენტგენ" ორბიტული ობსერვატორიის გამოყენებით. დღეს დაკვირვების ობიექტად არჩეულია რენტგენული პულსარი მაგელანის მცირე ღრუბელში.

დღის განმავლობაში კოსმონავტები განახორციელებენ აგრეთვე მთელ რიგ ბიოლოგიურ ექსპერიმენტებს, მოამზადებენ სამეცნიერო აპარატურას საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ფრენის პროგრამით მომავალი სამუშაოებისათვის.

მუშაობა ორბიტაზე დასახული გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს.

დაწინაურდნენ ნარაზნელები

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფაში დაწინაურდნენ ზუგდიდის რაიონის ნარაზენის კოლმეურნეობის მეჩაიეები. კოლმეურნეობა წლეულს 2690 ტონა ნედლეულს ამზადებს. აქ უწინარესად ხარისხისათვის იბრძვიან. დამზადებულ ნედლეულში პირველი ხარისხი 56 პროცენტს აღწევს.

მოწინავეობენ თალიკო და როზა თოდუები, ისინი ყოველდღიურად 30-40 კილოგრამამდე პირველი ხარისხის ფოთოლს კრეფენ.

✦✦

სურათზე: თალიკო და როზა თოდუების დაკრეფილ ნედლეულს ამოწმებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ლომაია.

ვ. ბენბიურის („კომუნისტი") ფოტო.

ჩაი — 88

როცა ხარისხი დაივიწყეს

მახარაძელმა მეჩაიეებმა წლეულს 77.700 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა დაამზადონ. გაწეული საგულდაგულო შრომის შედეგებით 24 აგვისტოსათვის დამზადებულია 62.388 ტონა ნედლეული, რაც წლიური დავალების 80,2 პროცენტს შეადგენს. ეს ციფრი რესპუბლიკის მაჩვენებელზე უფრო მაღალია. კეთილი! მაგრამ დღემდე კვლავ დაბალია პირველი ხარისხის ნედლეულის ხვედრითი წილი. იგი ჯერჯერობით 47 პროცენტს არ აღემატება. ეს იმიტომაა, რომ ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში ხელი მოკლეს ჩაის ხარისხს, ეწევიან ფოთლის ხელოვნურად გაუხეშების მავნე პრაქტიკას. 20-30 სანტიმეტრის სიგრძის ყლორტებს თვითნაკეთი იარაღებით ჭრიან, ან ბუჩქის სასხლავი აპარატებით კრეფენ.

ასე იყო მთისპირის კოლმეურნეობის ჩაის მთავარ მასივში ეგრეთწოდებულ „მაღალი ეწრის" პლანტაციებში. ჩაის ბუჩქთა მწკრივებში ჩამდგარ ყველა მკრეფავს ხელში თვითნაკეთი იარაღი ეჭირა და როგორც იტყვიან, პირწმინდად „პარსავდნენ" ბუჩქებს. ჩვენი მოსვლით არავითარი უხერხულობა არ უგრძნიათ ამ კოლმეურნეობის №6 ბრიგადის (ხელმძღვანელი მ. პაქსაძე) წევრებს.

იქვე მახლობელ პლანტაციაში გადავინაცვლეთ. ამავე კოლმეურნეობის №2 ბრიგადის (ხელმძღვანელი რ. ინწკირველი) მეჩაიეები ჭერივით დამდგარ ყლორტებს აკრძალული იარაღებით ჭრიდნენ. მეჩაიე მაია თავბერიძემ გულისტკივილით გვითხრა:

ნამგლით ჩაის მოჭრას ვინ ვიშლით თქვენ კაი-კაცებო? — გუშინ თავსხმა წვიმა იყო, ჩვენ კი მუხლჩაუხრელად ვკრეფდით ფოთოლს. მერე რა, ჩვენი ნაოფლარი შუაზე გაგვიყო კოლმეურნეობის ჩაის მიმღები პუნქტის გამგემ თენგიზ ულენტმა, როცა მივუთითეთ წვიმიან დღეს ფოთლის ზედაპირული სინესტე, ქვა ააგდო, თავი შეუშვირა, როგორ მაკადრეთ საყვედურიო. პუნქტიდან კარში გამოგვყარა და აუწონავი ნედლეული მიგვატოვა. ჩვენი ნაკრეფი ჩაის ფოთოლი ორი დღეა იქვე ყრია...

პუნქტის შენობას მივადექით, ჩაის მიმღები უზომოდ მთვრალი თენგიზ ულენტი კარებს გასაღებს არგებდა, მაგრამ ვერ აბრახებდა ბაღებას. ჩვენს დანახვაზე გინებას იწყება. მისი დაწუნარების ცდა ამაოდ გამოდგა.

ამ დღეს მთისპირის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადის (ბრიგადირი ნ. თალაკვაძე) მეჩაიეებიც მასიურად კრეფდნენ ჩაის ფოთოლს აკრძალული იარაღებით. ნაკრეფი მასა რიგთა შორის ცვიოდა, რასაც ერთიანად ხვეტდნენ ხოლმე და ტომრებში ყრიდნენ მიმღებ პუნქტში გადასაზიდად.

ასე უკუღმა ესმის მთისპირის კოლმეურნეობის თავკაცებს, კერძოდ მის თავმჯდომარეს გ. შევარდნაძეს, მთავარ აგრონომს ე. ნემსაძეს, პარტიული კომიტეტის მდივანს მ. ნიკოლაიშვილს ჩაის ხარისხისათვის ბრძოლა.

ჭანიეთის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ზ. ურუშაძე) ძირითადი პლანტაციები ქობულეთისკენ მიმავალი მთავარი გზატკეცილის სანაპიროებზეა გაშლილი. გზიდანაც ადვილად მოსჩანს გაუხეშებული ფართობები. მკრეფავები კი არსად ჩანდნენ. ანალოგიური მდგომარეობა ვიხილეთ სხვა პლანტაციებშიც — ფოთოლი უხეშდება, მაგრამ ვინლაა გამკითხავი. ეს მით უმეტეს დასანანია, როცა ჭანიეთის კოლმეურნეობა ჩამორჩენილთა რიგებშია და რაიონის საერთო მაჩვენებელს უკან ეწევა.

მზიანის ჩაის ფაბრიკაში მისვლისთანავე თვალში გვეცა ანტისანიტარია. აქა-იქ წყლის გუბეები იდგა, გაწუკითხავად ეყარა ნედლეულის ნარჩენებისა და პროდუქციის ხარისხიანი და უხარისხო მასა. სამუშაო საათებში ადგილზე არ დაგვხვდა არც ერთი პასუხისმგებელი მუშაკი, მხოლოდ თითო-ოროლა მუშები შემოგვხვდა. ვნახეთ ერთი ასეთი არასასიამოვნო სურათიც — ფაბრიკიდან მაზუთის ნარჩენები პირდაპირი არხით მიშვებული იყო ჩაის პლანტაციაში. ეს და კიდევ სხვა ნაკლოვანებანი არ ეპატიება ისეთ გამოცდილ მუშაკს, როგორიც არის ამ ფაბრიკის დირექტორი გ. ვახაძე.

შემოქმედის ჩაის ფაბრიკის ცენტრალურ მიმღებ პუნქტში სოფლების — ბაღდადის, წითელმთის, შემოქმედის კოლმეურნეობების ჩაის უკონდიციო მასით დატვირთული ავტომანქანები იდგა. ვთქვათ ფაბრიკის ახალგაზრდა ხელმძღვანელებს უარი არ ეთქვათ და უვარგისი ფოთოლი მიეღოთ, რა პროდუქცია უნდა გამოსულიყო ამ გაუხეშებული მასალიდან?

ხარისხოვანი ჩაის ნედლეულისათვის ბრძოლა არ იგრძნობა სილაურის, გაღმა დვაბზუს, ბოხვაურის კოლმეურნეობებში. დათვალიერებისას ვნახეთ ამ კოლმეურნეობათა ჩაის პლანტაციებში გაუხეშებული ჩაის ფოთოლი.

არ ვიქნებით სწორი, თუ არ აღვნიშნავთ რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მიერ ამ მხრივ გატარებულ სასარგებლო ღონისძიებებზე ჩაის მაღალი ხარისხის ნედლეულისა და მზა პროდუქციის მიღებისათვის. ძიმითის, მერიისა და სხვა ჩაის ფაბრიკებში მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელები დაედო ხელმძღვანელ მუშაკებს, გადაბალისდა კადრები, გატარდა შესაფერისი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. როგორც ჩანს,

> **„კომუნისტის" საგუშაგო**

ზოგიერთებისათვის კედელზე შეყრილ ცერცვად დარჩა ეს ყველაფერი.

ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესების საყურადღებო საკითხებზე გვესაუბრა პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი **თამაზ კუნჭულია:**

— მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის შემდგომი განვითარება, სამამულო ჩაის ხარისხის გაუმჯობესება რესპუბლიკის პრესტიჟის საქმეა. ამდენად რაიონის პარტიული ორგანიზაცია ყველა რეზერვს მაქსიმალურად აამოქმედებს, რომ რაც შეიძლება სწრაფად დავძლიოთ ნაკლოვანებანი, არავის ვაპატიებთ ამ მიმართებით ოდნავ დარღვევასაც კი.

მახარაძელ მეჩაიეებს არასდროს შეურცხვენიათ თავი, და ასე იქნება ამჯერადაც.

ტყიბულის ჩაი საქვეყნოდ არის ცნობილი, რასაც ხელს უწყობს ზონის ტიპიური ნიადაგები, სადაც ჩაის კულტურამ კარგად იხარა და მოსავალიც ხარისხოვანი მისცა მაშვრალს. ამან ისიც ადასტურებს, რომ წლეულს მოსკოვში ტყიბულის ფაბრიკიდან გაგზავნილმა 61 ტონა ჩაიმ კარგი შეფასება მიიღო. მაგრამ მეჩაიეებს ის აღელვებთ და აწუხებთ, რომ ზონა ჩამორჩა ჩაის ფოთლის კრეფასა და დამზადებული ნედლეულის ხარისხობრივ მაჩვენებელში. 24 აგვისტოსათვის 9.860 ტონიდან სულ დამზადებულია 7.014 ტონა ნედლეული, წლიური გეგმის 71,1 პროცენტი (რესპუბლიკურზე 5,6 პროცენტით ნაკლები). მოკრეფილ ნედლეულში პირველი ხარისხის ხვედრითმა წილმა მხოლოდ 48,9 პროცენტი შეადგინა, (5,4 პროცენტით ნაკლები).

სტიქიამ, რომელმაც სხვა მეჩაიეობის რაიონებს შორის ყველაზე მეტად დააზიანა ტყიბულის ზონა, ძირითადად პარალიზებულიყო დიდი მეჩაიე სოფლების — საწირის, ხრესილის, ორპირის, ცხიბის, ოჯოლის კოლმეურნეობები. მეჩაიეებმა ყველაფერი იღონეს პლანტაციების აღდგენისათვის, დამატებითი დოზით შეიტანეს მინერალური და ორგანული სასუქები და სხვა. მდგომარეობა თანდათანობით სწორდება.

მაგრამ ყველაფერს სტიქიას ვერ დავაბრალებთ. დაზიანებული პლანტაციები წელში გაიმართა, მესამე ვეგეტაცია კარგია, ჩაი საკრეფად ყველგან არის შემოსული, მაგრამ ტემპი და ხარისხი არ უვარგათ ტყიბულელებს. მეჩაიეები მასიურად არ გამოდიან ნედლეულის ასაღებად, ამაში მაშინ დავრწმუნდით, როცა ვეწვიეთ რამდენიმე კოლმეურნეობას და ვნახეთ პლანტაციები, სადაც მხოლოდ აქა-იქ იდგნენ მეჩაიეები, კრეფდნენ ჩაის ფოთოლს.

საწირის კოლმეურნეობამ სეზონში 1156 ტონა ნედლეული უნდა დაამზადოს. შემოწმების დღეს წლიური გეგმა 50,2 პროცენტით იყო შესრულებული. ნაკრეფში პირველი ხარისხის მასამ 44,6 პროცენტი შეადგინა. მართალია, კოლმეურნეობის პლანტაციები აქ თითქმის 50 პროცენტი მოყინა, მაგრამ ჩამორჩენის სხვა ხელშემშლელი მიზეზიც საკმაოდ არის. საქმე ის გახლავთ, რომ სოფელს რკინიგზა შუაზე ყოფს. ჩაის ძირითადი პლანტაციები რკინიგზის გაღმაა მოქცეული. სეზონში რკინიგზელები ხელს უწყობდნენ მეჩაიეებს და გადასასვლელს აღებდნენ. წლეულს კი რატომღაც მეჩაიეთა თხოვნა არ დააკმაყოფილეს. ამიტომ შორი გზით ხდება მეჩაიეთა გადაყვანა პლანტაციებამდე, რაც შრომის ორგანიზაციას აფერხებს, დამზადებული ნედლეულის გადაზიდვაც ჭირს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ვაჟრობის მუშაკთა უდარდელობა მეჩაიეებისათვის შორეულ უბნებში კერძების, ლიმონათის, ნაყინის მიწოდებაზე, რომელიც არ ხდება. მეჩაიეებმა გვითხრეს, — სადაცაა სკოლის ზარი დაირეკება. ვაჭრობის მუშაკებმა პლანტაციებში რომ მოაწყონ დატარებითი სასკოლო ვაჭრობა, ჩვენც ავცდებით ქალაქში წანსვლას სასკოლო ნივთების და ფორმების საყიდლად და ჩაის კრეფაც არ შეფერხდებაო.

ტყიბულის ზონაში ნედლეულის ყველაზე დიდი მწარმოებელია ორპირის კოლმეურნეობა (სეზონში ამზადებს 1685 ტონა ჩაის ფოთოლს). ორპირის პლანტაციებიც ორჯერ დააზიანა ბუნების სტიქიამ, იხე, რომ საკრეფად დუყები ბუჩქებს არ შერჩენა. შრომისმოყვარე ორპირელებმა დიდი შრომა გასწიეს ნარგავების დამატებით გამოსაკვებად, უვარგისი ფოთლებისაგან ბუჩქების გასაწმენდად, სხვა სამუშაოების დროულად ჩატარებისათვის და პლანტაციებმაც მეორე და მესამე ვეგეტაციის ფოთოლი უხვად გამოიღეს, მაგრამ შემოსული ფოთოლი დროულად არ მოიკრიფა. გაუხეშდა კიდევაც და დღემდე დამზადებულ ნედლეულში — 1082,5 ტონაში, პირველი ხარისხის წილმა მხოლოდ 38,3 პროცენტი შეადგინა.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ხარისხის ასეთ დაბალ პროცენტს უამინდობას აბრალებენ, მაგრამ ეს არ არის სწორი. ახლა მესამე ვეგეტაციის ფოთოლი ისეთი ხარისხოვანია, რომ მასისას არ ჩამოუვარდება. ამ დროს ძალზე გულსატკენია ჩაის ფოთლის უხეში კრეფა, რომელიც დათვალიერებისას ვნახეთ რამდენიმე პლანტაციაში.

დრო წინ არის. სეზონის დამთავრებამდე კარგი მუყაითი შრომით ტყიბულელები დაძლევენ ჩამორჩენას და როგორც ყოველთვის, წლეულსაც გავლენ მოწინავე პოზიციებზე.

ბ. ნოდია,
გ. ჩხაიძე,
ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

ყაირათიანად ვხარჯოთ სათბობი

ზაფხული ზამთრის მუშაა. ეს ბრძნული ნათქვამი ძალზე ტევადი ცნებაა და გულისხმობს რომ ზამთრისათვის მზადებას დასასრული არა აქვს. კერძოდ, იმასაც, რომ გათბობის სეზონის დამთავრების პირველი დღიდანვე უნდა დავიწყოთ მომავალი ზამთრისათვის თადარიგის დაჭერა.

უკვე აგვისტოც მიიწურა, საგრძნობლად აგრილდა, ხეებზე ოქროსფერი ფოთლები მომრავლდა. ეს შემოდგომის მობრძანებას მიგვანიშნებს. ჰოდა, შემოდგომა გვამოწმებს, თუ რა ვიღონეთ იმ პერიოდისათვის, „პიკის" სეზონს რომ ვუწოდებთ.

„საქთავარენერგოს" სისტემაში ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ უკვე იყო ლაპარაკი 21 აგვისტოს გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „მოვემზადეთ ზამთრისათვის?". დღეს შევეხოთ რესპუბლიკის კომუნალურ-თბოენერგეტიკული მეურნეობის მდგომარეობას.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ცნობით, შემოდგომა-ზამთრისათვის მზადება მარტში დაიწყო. იმ დროისათვის, როცა ეს მასალა მომზადდა, გეგმით კაპიტალურად შესაკეთებელი 163 საქვაბიდან (ქ. თბილისის გაუთვალისწინებლად) მზად იყო 63, რაც მნიშვნელოვნად ჭარბობს ამ პერიოდისათვის ნავარაუდევს. მიმდინარე რემონტი გაუკეთდა 165 საქვაბეს და კაპიტალურად შეკეთდა 14 კილომეტრი თბოქსელი. ეს მაჩვენებლებიც საგრძნობლად აღემატება გათვალისწინებულს. თბოიზოლაცია აღდგა მეტი სიგრძის თბოქსელზე, ვიდრე პროგრამით იყო ნავარაუდევი. შვიდი საქვაბე გადაყვანილია შედარებით ეფექტიანი სახეობის სათბობზე, საექსპლოატაციოდ გადაეცა თხევადი სათბობის რეზერვუარები და ეს წლიური გეგმის 40 პროცენტია.

ამ და სხვა ღონისძიებების განხორციელებით მიმდინარე წელს უნდა დაიზოგოს 4 ათასი ტონა პირობითი სათბობი. აქვე დავძენთ, რომ მარტო წლის პირველ ნახევარში დაიზოგა 2500 ტონა პირობითი სათბობი, აგრეთვე სოლიდური რაოდენობის თბოენერგია. ადგილებზე თხევადი სათბობის სათადარიგო ოცდღიანი მარაგის შესაქმნელად რესპუბლიკის საავტომობილო სამინისტრომ და სათბობის სახელმწიფო კომიტეტმა შეადგინეს საწვავის შემოზიდვის გრაფიკი, რომელსაც ჯერჯერობით დამაკმაყოფილებლად იცავენ. როცა ამას ვამბობთ, ვხელმძღვანელობთ იმ ფაქტით, რომ ათი აგვისტოსათვის შემოზიდული იყო გრაფიკით ნავარაუდევზე ცამეტი პროცენტით მეტი სათბობი.

დიახ, ყველაფერი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ზამთრისათვის მზადება არ მიმდინარეობს ისე, როგორც ეს სტატიის დასაწყისში შეიძლება მოგვეჩვენოს. იმის გამო, რომ ადგილობრივი საბჭოები დაგვიანებით გამოყოფენ ხოლმე სამზადისისთვის საჭირო სახსრებს, საქმე წინ ვერ მიიწევს. სწორედ ამ მიზეზით ფერხდება სარემონტო სამუშაოები, მაგალითად, ბოლნისში, დმანისში, სამტრედიაში, სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ზობის საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციები. პირველმა მათგანმა სათბობის სახელმწიფო კომიტეტს უნდა გაუსტუმროს 700 ათასი მანეთი, მეორემ — 50 ათასი მანეთი, მესამემ — 70 ათასი მანეთი და მეოთხემ — 20 ათასი მანეთი. დასახელებულ ქალაქებში სათბობის მარაგის შექმნა გვიანდება.

ყოვნდება თბოობიექტების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. შვიდი თვის გეგმა ამ მხრივ მშენებლობის სამინისტრომ 65 პროცენტით, აგრომრეწვმა 92 პროცენტით, ხოლო რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციებმა 131 პროცენტით შეასრულეს. ზამთრისათვის მზადებაზე უკიდურესად უარყოფითად მოქმედებს მილებით, ლითონით, თბოენერგეტიკული მოწყობილობითა და სხვა მასალებითა და აღჭურვილობით ურიტმო მომარაგება. ამ საქმის მოსაგვარებლად ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელოს რესპუბლიკის სახელმწიფო მომარაგების კომიტეტმა.

საქმე წინ ვერ წაიწევს, თუ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები დროულად არ გადმოურიცხავენ სახსრებს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქვაბეების შესაკეთებლად და სარეზერვო სათბობის შესაძენად. ეიმეორებთ საქმის დაჩქარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან აღმასკომები ზამთრისათვის მზადებას, რამდენად სწრაფად გამოყოფენ საამისოდ სახსრებს. რაც შეეხება საქვაბეებისთვის სათბობის ორგანიზებულ და დროულ შემოტანას, აქ ახლა მთავარია, არ დაირღვეს სათბობის სახელმწიფო კომიტეტისა და საავტომობილო სამინისტროს ერთობლივი გრაფიკი. ცოტა დროღა რჩება, ორიოდე თვე ისე გაირბენს, რომ ვერ შევამჩნევთ. თუ საქმისადმი ოდნავ მოვადუნებთ ყურადღებას, მერე გვიან იქნება თავის გასამართლებელი მიზეზის ძიება და წუწუნი.

საწვავ-საპოხი მასალების რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხს ჩვენ არაერთხელ დავუბრუნდებით, კონკრეტულად დავასახელებთ ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც საამისოდ ცოტას ან სრულიადაც არ ზრუნავს. გვინდა ყველას შევახსენოთ, რომ შარშან და შარშანწინ ბევრი იყო საწვავის არადანიშნულებისამებრ გამოყენების, შესასრულებელ სამუშაოზე წამატებათა შემთხვევები. რესურსების გადახარჯვის მიზეზია სუსტი ტექნოლოგიური დისციპლინა, პროფილაქტიკური რემონტის დაგვიანება, ნავთობის შესანახი და გამწყობი მეურნეობების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, სააღრიცხვო მონაცემების დამახინჯება და სხვა. სწორედ აღურიცხაობის მიზეზია, რომ არცთუ ცოტა ორგანიზაცია ითხოვდა და ხარჯავდა გაცილებით მეტ სათბობს, ვიდრე სჭირდებოდა.

სათბობის სახელმწიფო კომიტეტმა მთელი სიმკაცრით უნდა აკონტროლოს და აღკვეთოს რესურსებით უთავბოლოდ სარგებლობის ყველა შემთხვევა. აღარ უნდა გამეორდეს ისეთი ფაქტები, როცა შემოწმებული სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებისადმი დაქვემდებარებული საწარმო და ორგანიზაცია გათვალისწინებულზე ლამის ორჯერ მეტ საწვავს ხმარობდა. ბევრ მათგანში არ ხორციელდებოდა ტრანსპორტის რაციონალურ გამოყენებასთან, ტვირთზიდვის დროის საწვავ-საპოხი მასალების დაზოგვისათვის, წამატებებისა და თვალისხვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საწარმოებსა და სხვა ორგანიზაციებს სათბობის ეკონომიის გეგმა-დავალებაც არ ჰქონდათ. ირღვეოდა სახელმწიფო საფონდო დისციპლინა, ნიავდებოდა დიდძალი საწვავ-საპოხი მასალა. საწვავის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისა და გადახარჯვისათვის მრავალი ორგანიზაცია დაჯარიმდა. სამწუხაროა, რომ გასულ წლებში შემოწმებულ ორგანიზაციებში უზრუნველყოფილი არ იყო საწვავ-საპოხი მასალების საიმედო დაცვა-შენახვა, რეზერვუარების არაჰერმეტულობისა და სხვა ტექნიკურ გაუმართაობათა გამო დიდძალი რესურსები იკარგება.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ სამინისტროები, უწყებები, საწარმოები სათანადო კონტროლს არ უწევენ საწვავ-საპოხი მასალის ნორმირებულ ხარჯვას, ამ მხრივ ყოვლად შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ.

არავის აღარ უნდა სჭირდებოდეს იმის შეხსენება, რომ ყოველგვარი რესურსების და, კერძოდ, სათბობის ყაირათიანი ხარჯვა დროის უპირველესი მოთხოვნაა, სამეურნეო ანგარიშითა და თვითდაფინანსებით მუშაობის მთავარი პირობაა. ეს გამომდინარეობს სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ XIX კონფერენციის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მომავალი წლიდან ყველა სამრეწველო საწარმო, სახალხო მეურნეობის სხვა დარგები გადავლენ. ახალი სამეურნეო მექანიზმი კი უმკაცრეს მომჭირნეობას უნდა ეფუძნებოდეს. უნდა აღირიცხოს ყოველი გრამი სათბობი, ყოველი კილოვატსაათი ენერგია, ვიანგარიშოთ ყოველი კაპიკი. სხვანაირად სასურველი საბოლოო შედეგის მიღწევაზე ლაპარაკი ზედმეტია.

სკკპ XIX კონფერენციაზე საგანგებოდ ითქვა, რომ გარდაქმნის პროცესი სულ უფრო ღრმად აღწევს ცხოვრების ყველა სფეროში და, კერძოდ, ეკონომიკაში. ეკონომიკის პირველადი რგოლების მნიშვნელოვანი ნაწილი ითვისებს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებს სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის შესაბამისად. დაიწყო შრომითი და შიდასაწარმოო ურთიერთობის გარდაქმნა. ეკონომიკა თანდათანობით ძალას იკრებს. ეროვნული შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. უპირატესი ტემპით მატულობს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. დაჩქარდა საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა.

ყველაფერი ეს გარდაქმნის შედეგია, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ თვითკრიტიკულნი ვიყოთ. ყველა პოზიტიური მომენტის მიუხედავად, ეკონომიკის საქმის მდგომარეობა ნელა იცვლება, განსაკუთრებით, თუ საბოლოო შედეგით ვიმსჯელებთ. ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში საქმის ხელმიშვებულობა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავდაპირველად გვეგონა. იმ სერიოზული მიზეზებიდან, რომლებიც აბრკოლებენ საქმის წინსვლას, უწინარეს ყოვლისა ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ დღესაც ქვეყანა ეროვნული შემოსავლის ერთეულზე გაანგარიშებით კვლავ მეტისმეტად ბევრ სათბობს ხარჯავს. აქედან მომდინარეობს რესურსების დეფიციტი მათი წარმოების დიდი მოცულობის პირობებში, რაც გვაიძულებს სულ ახალ-ახალი სახსრები გამოვყოთ სათბობ-ენერგეტიკული ბაზის ზრდისათვის.

ეს მომენტი ყველამ უნდა გავითვალისწინოთ, განსაკუთრებული კონტროლი დავუწესოთ სათბობის ყაირათიან ხარჯვას, დაუყოვნებლივ გამოვამჟღავნოთ მისი არადანიშნულებისამებრ ხარჯვის ყველა შემთხვევა.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის" მიმომხილველი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, ავტოგასაწყობ სადგურებში, კოოპერაციულ გარაჟებში და სადგომებზე ამ მომსახურების შესრულების ორგანიზაციის საფუძველზე. უკვე 1990 წლისათვის მთლიანად დაკმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილებანი ყველა ქალაქში, რაიონულ ცენტრში, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კარ-მიდამოებში ტვირთის გადატანის მომსახურებაზე, ამ მიზნებისათვის სახელშეკრულებო საფუძველზე საერთო სარგებლობის ტრანსპორტთან ერთად გათვალისწინებულია საუწყებო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენება. დასახულია დაჩქარებული ტემპით განვითარდეს ისეთ სახეობათა მომსახურება, როგორიც არის მიწის ნაკვეთების დამუშავება და სასუქების შეტანა, მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლა, მცირე მექანიზაციის საშუალებებისა და საბაღოსნო ტარის გაქირავება და სხვ.

ტურიზმისა და დასვენების სფეროში მომსახურების რეალიზაციის მოცულობა დასახულია 1995 წელს 3-ჯერ გაიზარდოს 1987 წელთან შედარებით. ამ მიზნით გათვალისწინებულია მაქსიმალურად გამოვიყენოთ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატებისა და სხვა გამაჯანსაღებელი დაწესებულებების, აგრეთვე სასტუმროების, კემპინგებისა და მოტელების არსებული მატერიალური ბაზა (მათ შორის საუწყებო), კერძოდ, მნიშვნელოვნად გავახანგრძლივოთ აღნიშნულ დაწესებულებათა მუშაობის სეზონი. გაფართოვდება აგრეთვე ახალი გამაჯანსაღებელი დაწესებულებების მშენებლობა, უწინარესად ბავშვიანი მშობლების დასასვენებლად.

დასახულია ამოცანა 1988-1989 წლებში ქვეყნის ყველა საკურორტო ზონაში შეიქმნას სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციები, რომლებიც კომპლექსურ მომსახურებას გაუწევენ დასასვენებლად და სამკურნალოდ უსაგზუროდ ჩამოსულ მოქალაქეებს, უზრუნველყოფენ მათ ბინით, ტრანსპორტის ბილეთებით, კულტურულ-საექსკურსიო ღონისძიებებით. მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციისათვის დასახულია ფართოდ გამოვიყენოთ ინდივიდუალური საბინაო ფონდი და სხვა საცხოვრებელი ნაგებობანი.

გაიზრდება დამსვენებელთათვის დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევა, რომელიც არ შედის საგზურის ღირებულებაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების პუნქტების, სამეურნეოანგარიშიანი სამკურნალო კაბინეტების ორგანიზაციის, ფასიანი კულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მოწყობის საფუძველზე. გათვალისწინებულია შეიქმნას საქალაქო და რაიონული კულტურულ-სპორტული კომპლექსები, ახალგაზრდობის კულტურული ცენტრები და დასვენების ცენტრები.

ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში უფასო მომსახურების გაწევასთან ერთად დასახულია შეიქმნას პირობები ფასიანი მომსახურების არსებითი გაფართოებისათვის. მრავალგზის უნდა გაიზარდოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დაწესებულებების მიერ მომსახურების რეალიზაციის მოცულობა სპორტულ ნაგებობათა ქსელის ფართოდ განვითარების, ფასიანი სექციების, ჯგუფების, სპორტული კლუბების, სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანებების „ფიზკულტურისა და ჯანმრთელობის" ორგანიზაციის საფუძველზე. ამ მიზნებისათვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საწარმოთა და გაერთიანებათა, სპორტულ საზოგადოებათა, სკოლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, კულტურისა და დასვენების პარკების, დასასვენებელი სახლებისა და ბაზების, სანატორიუმებისა და სხვა ორგანიზაციების სტადიონები, აუზები, სპორტული დარბაზები და ნაგებობანი.

გათვალისწინებულია გაფართოვდეს სამედიცინო, სამედიცინო-სოციალური და გამაჯანსაღებელი მომსახურება, განვითარდეს სამეურნეოანგარიშიანი საკონსულტაციო-დიაგნოსტიკური და სტომატოლოგიური პოლიკლინიკებისა და განყოფილებების, ნარკოლოგიური ამბულატორიებისა და კაბინეტების, კოსმეტოლოგიური სამკურნალოებისა და გამაჯანსაღებელი კომპლექსების, პანსიონატების ქსელი იმ პირთათვის, რომლებსაც მუდმივი მოვლა სჭირდებათ. განსაზღვრულია, რომ 1995 წელს ფასიანი სამედიცინო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა 4-ჯერ გაიზარდოს 1987 წელთან შედარებით.

მოსახლეობისათვის კავშირგაბმულობის მომსახურების მოცულობა გათვალისწინებულია 1995 წელს 2,1-ჯერ გადიდდეს 1987 წელთან შედარებით. დასახულია სატელეფონო კავშირის მომსახურების პრიორიტეტული განვითარება: დაისახა ამოცანა 1995 წელს ტელეფონით იყოს უზრუნველყოფილი ყოველი მეორე ოჯახი.

მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს აბონენტებისათვის სოციალურ-საყოფაცხოვრებო და სხვა საკითხებზე ცნობების გაცემის ფასიანი საცნობარო-საინფორმაციო სამსახურების, აგრეთვე სანოტარო კანტორებისა და იურიდიულ კონსულტაციათა ქსელი; შეიქმნას საჭირო რაოდენობის სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაციები, რომლებიც მოსახლეობას გაუწევენ მომსახურებას საცხოვრებელი ფართობის გაცვლის ვარიანტების შესარჩევად გამოთვლითი ტექნიკის თანამედროვე საშუალებათა გამოყენებით.

სსრ კავშირის რკინიგზების სამინისტროს, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ გაითვალისწინონ ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის მოცულობათა უპირველესი ზრდა უწინარესად საკურორტო ზონებთან და ტურიზმის ცენტრებთან ქვეყნის სამრეწველო რეგიონების დამაკავშირებელ ხაზებზე, ამასთან მხედველობაში იქონიონ ის, რომ 1990 წელს დააკმაყოფილონ ძირითადად მოსახლეობის მოთხოვნილება ამ ტვირთზიდვასა და მგზავრთა გადაყვანაზე; მოაწყონ ვაგზლებში, აეროპორტებში, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებში, გასაჩერებელ პუნქტებსა და გზაში მგზავრებისათვის სხვადასხვა სახეობის ფასიანი მომსახურების გაწევა, რომელიც დამატებითს კომფორტს ქმნის, გააუმჯობესონ ბილეთების გაყიდვის ორგანიზაცია.

სსრ კავშირის უცხოეთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტს რეკომენდაცია მიეცა უცხოელი ტურისტების მომსახურების გაუმჯობესებასთან ერთად უფრო სრულად გამოიყენოს არსებული შესაძლებლობანი საბჭოთა მოქალაქეების მომსახურებისათვის და უზრუნველყოს 1990 წელს 416 მილიონი მანეთის და 1995 წელს — 770 მილიონი მანეთის მოცულობით, მათთვის გასაწევი ფასიანი მომსახურების რეალიზაცია.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის რადიომრეწველობის სამინისტროს, სხვა სამინისტროებს—რადიოელექტრონული აპარატურის და რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის დამამზადებლებს დაევალათ უზრუნველყონ რადიოელექტრონული აპარატურისა და რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის საფირმო ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის დაჩქარებული განვითარება იმ გზით, რომ გააქტიურონ მუშაობა სპეციალიზებული ტექნოსავაჭრო და ტექნიკური ცენტრების ფართო ქსელის შექმნისათვის, რომლებიც ახორციელებენ რადიოელექტრონული აპარატურისა და რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის საფირმო ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტს, ჩააბან ყველა დამამზადებელი საწარმო მათ მიერ გამოშვებული საყოფაცხოვრებო აპარატურისა და ტექნიკის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტში, როგორც ექსპლოატაციის გარანტირებული ვადის განმავლობაში, ისე მისი დამთავრების შემდეგაც, განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სოფლის მცხოვრებთა კუთვნილი რადიოელექტრონული აპარატისა და რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაცია სახელშეკრულებო საწყისებზე მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა სისტემის საწარმოებთან თანამოქმედების საფუძველზე.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს რეკომენდაცია მიეცათ საჭირო დახმარება გაუწიონ რადიოელექტრონული აპარატურისა და რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის საფირმო ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციაში საქვეუწყებო ტერიტორიაზე, ოპერატიულად გადაჭრან ამ მიზნით საწარმოო სათავსების მშენებლობასა და გამოყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების სფეროს ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის დასახულ ამოცანათა საფუძველზე, რეკომენდაცია მიეცათ განახორციელონ ღონისძიებანი მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ამასთან სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების გამოყოფასთან ერთად ამისათვის გამოიყენონ დადგენილი წესით გაერთიანებების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების განვითარების ფონდების სახსრების, სსრ კავშირის ბანკების კრედიტების, მოსახლეობის სახსრების, აგრეთვე სხვა წყაროების მოზიდვა; გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების კოოპერირება ფასიანი მომსახურების სფეროს ობიექტების აგებისა და ექსპლოატაციისათვის სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სპორტული ნაგებობების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, ფასიანი მომსახურების სფეროს სხვა ობიექტების მშენებლობის სამეურნეო მეთოდის გაფართოება, ამასთან გამოიყენონ ამ საქმეში მოწინავე შრომითი კოლექტივების მიერ დაგროვილი გამოცდილება.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ სამშენებლო მასალების, სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობისა და ნაკეთობების წარმოება იმ მოცულობებით, რომლებიც საჭიროა მათზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის.

დადგენილებით გათვალისწინებულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს ტექნიკური განახლების დაჩქარების ღონისძიებანი. სამინისტროებსა და უწყებებს დაუწესდათ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობის შემუშავებისა და სერიული წარმოების ათვისების 1989-1995 წლების კონკრეტული დავალებანი.

მიღებულია რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს და ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება 1989-1995 წლებში საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობის მანქანების, ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტის წარმოების მოცულობათა შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ 1989-1995 წლებში საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის მცირეტონაჟიანი ავტომობილების გამოყოფა, ხოლო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებასა და სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს დაევალათ 1989-1990 წლებში 1988 წელთან შედარებით ყოველწლიურად 2 ათასი ცალით გაზარდონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში აღნიშნული ავტომობილების ფონდების გამოყოფა.

მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევაში მეთაურმა სამინისტროებმა და უწყებებმა მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და თავდაცვითი დარგების სამინისტროებთან ერთად უნდა შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1988-1989 წლებში მეცამეტე ხუთწლედისა და შემდგომი პერსპექტივისათვის დასვენებასთან, მოცალეობასა და ადამიანთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურების განვითარების საქმეში ამ დადგენილებით გათვალისწინებული დავალებების შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო მოწყობილობის შექმნისა და წარმოების ღონისძიებანი.

სსრ კავშირის სახმშენსა და სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს ევალებათ შეიმუშაონ 1988-1989 წლებში რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, მომსახურების გაწევაზე დასპეციალებული სხვა სამინისტროებისა და უწყებების ტექნიკური პირობებით მსუბუქი ლითონის კონსტრუქციების ასაწყობი შენობების (მოდულების) ტიპობრივი პროექტები, რათა განალაგონ აქ მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაწევის საწარმოები.

სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტრომ უნდა მოაწყოს 1990 წლიდან დაწყებული იმ საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ფასიან მომსახურებას უწევენ მოსახლეობას, აღნიშნული ტიპობრივი პროექტებით მსუბუქი ლითონის კონსტრუქციების ასაწყობი შენობების (მოდულების) გამოშვება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ განსაზღვრული მოცულობებით.

დადგენილებით გათვალისწინებულია მეთორმეტე ხუთწლედის დამლევამდე განახორციელონ საბითუმო ვაჭრობის პირობებით ფასიანი მომსახურების სფეროს საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების იმ პროდუქციით მომარაგებაზე გადასვლა, რომლებიც არ ნაწილდება ცენტრალიზებული წესით.

მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევაზე დასპეციალებულ სამინისტროებსა და უწყებებსა და სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტს რეკომენდაცია მიეცათ განახორციელონ სახელშეკრულებო საფუძველზე იმ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების შეკვეთებით, რომლებისთვისაც მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევა არ არის ძირითადი საქმიანობა, მოსახლეობის მომსახურებისათვის საჭირო კადრების მომზადება.

დადგენილებით განსაზღვრულია სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების საფუძველზე ფასიანი მომსახურების სფეროში მეურნეობრიობის მექანიზმის გარდაქმნის მიმართულებანი, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებით შრომითი კოლექტივების დაინტერესების გაზრდის ღონისძიებანი.

იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების უფრო ეფექტიანი თანამოქმედება სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან და მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების სფეროს განვითარების დარგობრივი და ტერიტორიული მართვის შეხამება, გათვალისწინებულია, რომ:

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის საფუძველზე უზრუნველყოფენ საქვეუწყებო ტერიტორიაზე მომსახურების სფეროს ყოველმხრივ კომპლექსურ განვითარებას და იკისრებენ მთელ პასუხისმგებლობას ფასიან მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრული და ხარისხოვანი დაკმაყოფილებისათვის. მათ ეკისრებათ კოორდინაცია გაუწიონ მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაწევისათვის მუშაობას, რომელსაც ახორციელებენ მართვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების ყველა გაერთიანება, საწარმო და ორგანიზაცია;

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განახორციელონ მჭიდრო თანამოქმედება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებთან მიიღონ ზომები ყველა საქვეუწყებო საწარმოსა და გაერთიანებაში ფასიანი მომსახურების დაჩქარებული განვითარებისათვის, ამასთან იღვაწონ იმისათვის, რომ უფრო სრულად დააკმაყოფილონ ამ მომსახურებაზე თავიანთი მუშაკებისა და სხვა მოქალაქეების მოთხოვნილებანი, გაზარდონ თითოეული დარგის წვლილი მომსახურების სფეროს განვითარებაში.

დადგენილებით განსაზღვრულია ფასიანი მომსახურების დაგეგმვის წესი.

გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით, მოვალენი არიან თავიანთი ფასიანი მომსახურების განვითარების გეგმების პროექტები შეუთანხმონ შესაბამისი მოკავშირე (საოლქო დაყოფის არ მქონე), ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად დაევალა შეიმუშაოს და 1989 წელს დაამტკიცოს მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევის საერთოსაკავშირო კლასიფიკატორი.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სფეროს მუშაობის გარდაქმნისას იხელმძღვანელონ იმით, რომ ამ მუშაობაში მთავარი მიმართულებანი უნდა გახდეს 1988-1989 წლებში აღნიშნული სფეროს საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების გეგმაზომიერი გადასვლა მართვის უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე, მათს საქმიანობაში სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების თანამიმდევრული დანერგვა, საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ეკონომიკური პასუხისმგებლობა თავიანთი საქმიანობის შედეგებისათვის. იმ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა მიმართ, რომლებიც მოსახლეობის მომსახურებას ავითარებენ დაფინანსების შერეული ფორმების (სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებისა და მოსახლეობის მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის) ხარჯზე, გათვალისწინებულია თანამიმდევრულად განხორციელდეს საკუთარი სახსრების წილის გადიდების გეზი, ამასთან შეიქმნას ეფექტიანი მუშაობის სტიმულირების უკეთესი შესაძლებლობანი.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს უფლება მიენიჭათ ნება დართონ საწარმოებს, რომლებიც ფასიან მომსახურებას უწევენ მოსახლეობას, ორ წლამდე ვადით დააწესონ ახალ სახეობათა მომსახურების ფასები (ტარიფები), აგრეთვე მოუმატონ ან ჩამოაკლონ მომსახურების მოქმედი ფასები (ტარიფები) სეზონის, დღე-ღამის დროის, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის მიხედვით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს რეკომენდაცია ეძლევათ ყოველნაირად შეუწყონ ხელი იმ საწარმოებში, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში სანარდო, კოლექტიური და ინდივიდუალური იჯარის ფართო გამოყენებას, რომლებიც ფასიან მომსახურებას უწევენ მოსახლეობას, მხარი დაუჭირონ მოქალაქეთა ინიციატივას კოოპერატივების შესაქმნელად, გაუწიონ მათ მრავალმხრივი დახმარება საწარმოო და სამეურნეო საქმიანობაში.

წინადადება ეძლევათ უფრო აქტიურად დანერგონ დასვენების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომსახურების გაწევის კოოპერაციული ფორმები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კოოპერატივების შექმნას და მომსახურების სფეროში სამუშაოდ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის საფუძველზე მოქალაქეთა მოზიდვას სოფლად და პატარა დასახლებულ პუნქტებში, სადაც ამ სფეროს სახელმწიფო საწარმოების შენახვა ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, აგრეთვე რეგიონებში, სადაც შრომითი რესურსების სიჭარბეა.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების დაინტერესება მომსახურების სფეროში ინდივიდუალური შრომით დასაქმებულ მოქალაქეთათვის ხელშეწყობით, აღნიშნულ საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს უფლება ეძლევათ ფასიანი მომსახურების რეალიზაციის სახელმწიფო შეკვეთების შესრულების შესახებ ანგარიშებში შეიტანონ იმ მომსახურების მოცულობანი, რომელსაც ეს მოქალაქეები ეწევიან აღნიშნული საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მოწყობილობის, ინსტრუმენტებისა და მატერიალური რესურსების გამოყენებით.

სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის საბინაო-სოციალურ ბანკსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით ევალებათ შეიმუშაონ იმ მომსახურების მოცულობათა აღრიცხვის წესი, რომელსაც უწევენ მოსახლეობას ინდივიდუალური შრომით დასაქმებული მოქალაქეები.

მოსახლეობისათვის მომსახურების გასაწევად სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეთა ფართოდ მოზიდვის მიზნით საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება ენიჭებათ მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გასაწევად მოიზიდონ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, მათ შორის ამ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა მუშაკები, ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს. დასახულია აგრეთვე აქტიურად შეუწყონ ხელი ფასიანი მომსახურების გაწევაში პენსიონერების, დიასახლისებისა და მოსწავლეების მონაწილეობას, მათ შორის ერთჯერადი სამუშაოების შესრულებაში, და შრომის ანაზღაურება მოხდეს დადგენილი ტარიფებით ან სახელშეკრულებო საფუძველზე სამუშაოთა დამთავრებისა და შემკვეთის მიერ მიღებისთანავე.

დადგენილია, რომ იმ საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებისთვისაც ფასიანი მომსახურების გაწევა არ წარმოადგენს ძირითად საქმიანობას, ამ მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგები კოლექტივების საწარმოო და სოციალური განვითარებისა და შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო სახსრების დამატებითი წყაროა. ამონაგების გამოყენების წესს განსაზღვრავს საწარმოს, გაერთიანების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი შრომითი კოლექტივის საბჭოსთან შეთანხმებით.

შესრულებულ სამუშაოთა (მომსახურების) ანაზღაურება, რომელიც არ შედის აღნიშნულ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ძირითადი საქმიანობის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მოცულობაში, უნდა მოხდეს ნორმატივის მიხედვით წარმოქმნილი ხელფასის ფონდის გადამეტებით, ხოლო იმ საწარმოებში, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც ხელფასის ფონდის წარმოქმნის ნორმატიულ მეთოდზე არ არიან გადაყვანილი, მათთვის დადგენილი შრომის გეგმის გადამეტებით.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ფასიანი მომსახურების გაწევაში დასაქმებულ მუშაკთა დაინტერესება შრომის ეფექტიანობის გადიდებით, მომსახურების რეალიზაციის მოცულობის ზრდითა და მოსახლეობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით, მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გამწევ საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს უფლება ენიჭებათ პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით ხელფასის გათვალისწინებული ფონდის ფარგლებში დაუწესონ სართი და დანამატი: ბრიგადირებს ძირითადი სამუშაოსაგან გაუთავისუფლებელ მუშათაგან, ბრიგადაში მუშათა რაოდენობის, შესასრულებელი სამუშაოთა მოცულობისა და სპეციფიკის მიხედვით — თვეში 40 მანეთამდე ოდენობით, და მერგოლეებს — ბრიგადირების სართის 50 პროცენტამდე ოდენობით, ბრიგადისა და რგოლის ხელმძღვანელობისათვის სართი გაიცემა, თუ ბრიგადებმა (რგოლებმა) შეასრულეს საწარმოო დავალებანი და უზრუნველყვეს გაწეული მომსახურების ჩინებული ხარისხი; მუშაკებს პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებისათვის, მომსახურების ზონების გაფართოებისა ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდებისათვის — ძირითად სამუშაოზე სატარიფო განაკვეთის (სარგოს) 50 პროცენტამდე ოდენობით გამოთავისუფლებულ მუშაკთა სატარიფო განაკვეთების (თანამდებობრივი სარგოების) გამო წარმოქმნილი ხელფასის ფონდის ეკონომიის ფარგლებში; უბნების მუშებს, ოსტატებს, უფროსებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს თავიანთ ძირითად სამუშაოსთან ერთად დროებით წასული მუშაკის მოვალეობათა შესრულებისათვის სართი — ძირითად სამუშაოზე სატარიფო განაკვეთის (სარგოს) 50 პროცენტამდე ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს წასული მუშაკის სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) 50 პროცენტისა; ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს შრომაში დიდი მიღწევებისა ან განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი სამუშაოს ვადაში შესრულებისათვის — თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით.

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს რეკომენდაცია ეძლევათ მნიშვნელოვნად აამაღლონ მომსახურების სფეროს ძირეული გარდაქმნისათვის, მისი ყოველმხრივი და დინამიკური განვითარებისათვის ორგანიზატორული მუშაობის დონე.

პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება - არჩევნები

გეგმა და ხარისხი კონტროლის სასწორზე

(საქინფორმი)

იურიდიული ლექტორიუმი

ეკონომიკური და სამართლებრივი გარანტიების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ნორმალურ ფუნქციონირებას, — ამ მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ახლახან მიიღო რამდენიმე დადგენილება. ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების არსის ერთიანი გაგების შემუშავებას ხელი უნდა შეუწყოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების წარმომადგენელთა თათბირ-სემინარმა, რომელიც თბილისში გაიმართა. მის მუშაობაში მონაწილეობდა სსრ კავშირის მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილე ი. მ. ოსტანი, რომელსაც საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— პატივცემულო ივანე, კონკრეტულად რა საკითხები აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში სემინარზე?

— უწინარეს ყოვლისა, ეს არის დებულებანი საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდებათა შესახებ, აგრეთვე 1989-1990 წლებისათვის სახელმწიფო შეკვეთების ფორმირების წესი. მათი მიღების საჭიროება განსაზღვრა გარდაქმნის გაღრმავე-

სამეურნეო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები

ძმობის ფესვები

ამ ქალაქს მესხეთის გულს ეძახიან. მდინარე მტკვრისა და ფოცხოვის შესართავის მაღლობ ლად გაშენებული უძველესი დროიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მე-12 საუკუნემდე მას „ლომსია" ერქვა, შემდეგ კი ახალციხე.

ხალხთა მეგობრობის ერთიან ოჯახად წარმოგვიდგება დღეს ახალციხე, აქ ქართველებთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ცხოვრობენ და შრომობენ 21 ეროვნების ადამიანები.

„...განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა"

— **უფიქრობ**, ჩვენი რაიონის ცხოვრება სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ძმობის კლასიკური მაგალითია, — ამბობს პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი შალვა შანიძე, — თანამედროვე გარდატეხის ეტაპზე უდიდესი ამოცანები დაისახა რაიონის წინაშე. ყველა თავდადებით შრომობს, რათა მოწინავეებს არ ჩამორჩნენ. ერთმანეთის არც ლხინს ივიწყებენ და არც ჭირს.

ჩვენს პირობებში, როცა ცალკეული ერები, სამეურნეო თუ კულტურული მიზნებით, ინტენსიურად უკავშირდებიან ერთმანეთს, უფრო და უფრო უნდა ისახებოდეს გზები ეროვნულ წესჩვეულებათა პატივისცემის, ურთიერთგაცნობისა და დაფასებისათვის. უამისოდ შეუძლებელია ძმობა-თანადგომა. ამ ძმობას კი საუკუნეებში აქვს ფესვები გადგმული.

მთავარმართებელი პასკევიჩი საქართველოში არზრუმიდან და ყარსიდან სომეხთა და ბერძენთა გადმოსახლების შესახებ მოახსენებდა პეტერბურგს: „საუკუნეების განმავლობაში ამ ქვეყნის დაჩაგრული ქრისტიანები — სომხები და ბერძნები ჩვენს მხარეს გადმოდიოდნენ და სიხარულითა და სიყვარულით გვხვდებოდნენ. ამ ღირსებასთან ერთად ესენი არიან დახელოვნებული ვაჭრობით და შეუძლიათ დიდი სიკეთე მოუტანონ ქვეყანას. ახლა რომ ეს ხალხი თურქეთის ხელში დავტოვოთ, თურქები ჩვენი ერთგულებისათვის დასჯიან". პასკევიჩმა მათი საქართველოში ჩამოსახლების ნებართვა გამოითხოვა. სპეციალურმა კომიტეტმა გადმოსახლებულთა სიები შეადგინა. წინასწარი ანგარიშით, ყარსის, არზრუმისა და ბაიაზეთის ვილაიეთებიდან 8000 ოჯახი უნდა გადმოსახლებულიყო, მაგრამ უფრო მეტი — 14.000 ოჯახი წამოვიდა. არზუმელმა სომხებმა ახალციხის საფაშოში გადმოსახლება მოინდომეს იმ მოტივით, რომ ამ მხარისა და არზრუმის ჰავა დაახლოებით ერთნაირი იყო. ცარიზმის მოხელენი კი აქ მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს ხელოვნურად თიშავდნენ ქრისტიანი ქართველებისაგან, თურქებად თვლიდნენ და ხელს უწყობდნენ თურქეთში მათს გადასახლებას.

* * *

1830 წლის მაისში ყოფილ ახალციხის საფაშოში დაიწყეს გადმოსახლება არზრუმის ვილაიეთის სომხებმა.

— მამა!
— რა იყო, შვილო.
— მცივა, მამა!
— მალე გაგვათბობენ, შვილო.
— მშია, მამა.
— მალე დაგვაპურებენ, შვილო.
— მაშ, მოვსულვართ საქართველოში, მამა!
— როგორ უნდა მოვიქცეთ, მამა, როცა ქართველებს შევეყრებით?
— ქართველი ბიჭი მოვა შენთან, მოგეხვევა და შეგიყვანს სახლში, დაგისვამს გვერდით, კერასთან, სადაც ანთია ცეცხლი მარად ჩაუქრობელი.
— ხოლო მანამდე როგორ მოვიქცეთ?
— მანამდე დავიჩოქოთ და ვაკოცოთ ქართულ მიწას. (ლ. სანიკიძე „უქარქაშო ხმლები").

აი, ასე მოვიდნენ, დასახლდნენ და დამკვიდრდნენ მოძმეთა მიწაზე სომხები.

* * *

კარგი მეზობლობისა და თანადგომის განა ერთი და ორი მაგალითის მოყვანა შეიძლება ახალციხის სინამდვილიდან.

ავ თვალს არ ენახვება, ისეთი მოვლილი ეზო და სახლ-კარი აქვთ ზემოსხვილისელებს, სადაც ერთად შრომობენ პაპიძეების, ქოჩიანების, ლომსაძეების, რაფაელიანების, ჭალიაშვილების, პაპენსონიანების, ზედგენიძეების, თოსიანებისა და სხვათა ოჯახები. სხვილისელ ქართველ-სომეხთა მეგობრობას შორეულ წარსულში უდგას ფესვები და დღემდე მოსულა. ეს ის სოფელია, რომელმაც 200-მდე კაცი შესწირა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ქვეყნის გამარჯვებას. ეს ის სოფელია, სადაც 27 ინტერნაციონალური ოჯახი ცხოვრობს და სიყვარულითა და სიამტკბილობით ამრავლებს ქართველ-სომეხთა შთამომავალს, ეს ის სოფელია, რომელმაც 2000 მანეთი გადარიცხა მე-700 ანგარიშზე უბედურებაში ჩავარდნილი ქართველი ძმების დასახმარებლად.

აქაურ სასოფლო კლუბში ხშირად ეწყობა ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის საღამოები, აქ მღერიან სომხურ და ქართულ სიმღერებს, მღერიან სიყვარულზე, მშვიდობასა და მეგობრობაზე. სომეხთა და ქართველთა მეგობრობა, წარსულის ტკივილებით ნაკვები, აწმყოს ლხინის დღეებითაა განმტკიცებული და აყვავებული. ასეა თითქმის ყველა სოფელში.

...ზოგჯერ გაუგებრობაც ხდება, კონფლიქტები წარმოიშობა, მაგრამ აბა რომელი ოჯახი გინახავთ უკონფლიქტოდ? მაგრამ დედა-შვილსა და და-ძმებს შორის წარმოქმნილი უთანხმოებასავით სულ მალე ქრება და ყველაფერი ძველ კალაპოტს უბრუნდება.

— რამდენად მიზანსწრაფული და სისტემური იქნება ინტერნაციონალური აღზრდა, ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ქალაქში მუშაობის აქცენტი სწორედ ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდაზეა გადატანილი, — ჩაერია საუბარში რაიკომის მეორე მდივანი ლია ხმალაძე. სწორედ ამ მიზნით დამკვიდრდა წვევამდელთა გაცილება, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკიდან დემობილიზებულ ინტერნაციონალისტებთან შეხვედრები. ნაყოფიერად მუშაობს რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის წრე „წითელი მიხაკი", სადაც ნორჩი ინტერნაციონალისტები არიან გაერთიანებული, მისი წევრები საგაზაფხულო არდადეგებზე მოსკოვის ოლქის ქალაქ პუშჩინოში მეგობრობის ფესტივალზე იყვნენ მიწვეულნი. ეს დიდი პატივია ახალციხელი პიონერებისათვის — ისინი ხომ ფესტივალზე საქართველოს წარმომადგენლობენ.

ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდ საქმეს მაინც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამცხე-ჯავახეთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმი აკეთებს.

იმისათვის, რომ ბოგდანოვკის, ახალქალაქის და ახალციხის რაიონების მშრომელებმა უკეთ იცოდნენ თავიანთი წარსული და აწმყო მუზეუმის ხელმძღვანელობამ (დირექტორი—ც. ლაფაჩი, სწავლული მდივანი — კ. თორდია) ხელშეკრულებები გააფორმა წარმოება-დაწესებულებებთან, რის საფუძველზე თითქმის ყოველ შაბათ-კვირას მოდიან აქ მშრომელები. მუზეუმი არც პატარებს ივიწყებს — იგი სკოლებისათვის ღია გაკვეთილების მოწყობის ბაზად იქცა. გაკვეთილების თემა ხალხთა მეგობრობა და საქართველოს ისტორიაა.

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა რეგიონის ნორჩ ისტორიკოსთა კონფერენციები და სამეცნიერო სესიები, რომლებიც ხალხთა მეგობრობის საკითხებს ეძღვნება.

ნამდვილ ზეიმად იქცა საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიონული კომიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სხდომა თემაზე: საბჭოთა ხალხების ლიტერატურული თანამეგობრობა.

გაიხსენეთ ოვანეს თუმანიანი: „ჩვენ კავკასიელი ხალხები ძმები ვართ, ოდითგანვე მხარში ვუდგევართ ერთმანეთს როგორც ჩვენი მშობლიური მთები, რომლებიც თავიანთ კამკამა მწვერვალებით ერთმანეთის გვერდით დგანან და თავიანთი ფუძით არიან შერწყმულნი".

ახალციხეში არ მოიძებნება ისეთი უბანი, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, სამი ეროვნების ადამიანები მაინც რომ არ შრომობდეს.

მეგობრობის საწარმოებს უწოდებენ ახალციხის რაიონში გორის ბამბეულის კომბინატის ახალციხის ფილიალს, ფერადი ქვების დასამუშავებელ საამქროს, აქატ-დიატომიტის მაღაროთ სამმართველოს, № 1 ქვანახშირის შახტს, ელექტროძრავების ქარხანას, „საქმთავარენერგოს" ახალციხის ელქსელებს, პურკომბინატს, ხორცკომბინატს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, რაიონის სამშენებლო ორგანიზაციებსა და სხვა დაწესებულებებს.

ბავშვებიც პატარაობიდან ეჩვევიან ერთმანეთს, ბაგა-ბაღებში თითქმის ერთდროულად სწავლობენ ქართულ, რუსულ, სომხურ ენებს, რაც დრო გადის მეგობრობა კიდევ უფრო მტკიცდება.

სულ მალე ხალხთა მეგობრობის მუზეუმი გაიხსნება. მიზანი ერთია — მოიძიონ, მეცნიერულად დაამუშაონ, ფართო პროპაგანდა გაუწიონ მასალებს, რომლებიც თვალნათლივ ასახავს ქართველი ხალხისა და სხვა მოძმე ხალხების მეგობრობას და ურთიერთკავშირს.

რამდენი ქართველი და სომეხი ახალგაზრდა შებმია ერთად ცხოვრების უღელს, შვილებსაც ამავე გზით ზრდიან და სხვა ეროვნებისადმი პატივისცემას შთააგონებენ.

„ერთად უნდა ვიყოთ, სხვათა ერის გაჭირვებაზე გული უნდა გვტკიოდეს, მოძმეთა კარგი უნდა გვიხაროდეს, ცუდი უნდა გვწყინდეს, სიკეთეს უნდა ვთესავდეთ. სხვისი სითბოთი და სიყვარულით უნდა ვცხოვრობდეთ". ნოდარ დუმბაძის სიტყვები გამახსენდა, როცა ვლადიმერ ჯაფარიძის მეუღლეს სედა ხაჩატურიანს ვუსმენდი. სიყვარულზე აღმოცენებული და დაფუძნებული მათი ოჯახი ისე მყარია, როგორც ქართველთა და სომეხთა მეგობრობა. არასოდეს არც ერთს გულში არ გაუვლია ეროვნული სხვადასხვაობის წინაშე შიში — ვაითუ, ერთურთისათვის უცხო გამოვიდეთო.

— რაბათში, ასე ერქვა ახალციხის ძველ უბანს, ჯაფარიძეების სახლში ერთ დიდ დარბაზში ვცხოვრობდით, — გვიამბობს ქალბატონი სედა, — ოჯახი დიდი იყო, მაგრამ მაზლის ცოლებს თვალში რომ ჩავვარდნოდი, ხელს არ ამოისვამდნენ. ახლა მამამთილ-დედამთილს არ იკითხავთ? ტკბილი ხალხი, კარგი ხალხი, პირველად მიკვირდა კიდეც, ჩემი ბედია, თუ ყველა ქართველი ასეთია-მეთქი? ომიდან ვალმოხდილი დაბრუნდა ვალოდია, ახლა იგი აგრომრეწვტრანსის ახალციხის ავტოსატრანსპორტო საწარმოს უფროსი, კვლავ მწყობრშია. ორი შვილი გაზარდეს ვალოდიამ და სედამ. გია ისტორიკოსია, მათი რძალი ლია სამხარაძე ექიმ-პედიატრი. — ჩემი ქალიშვილი ალინა, — თავისებურად თბილად გაიღიმა ქალბატონმა სედამ,—ოსს ფელიქს თოგაევს გაჰყვა. ასე რომ, ინტერნაციონალური ოჯახი მაქვს და ამას ჩვენთვის სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია.

— მე კი სულ მაქებენ მეზობლებიცა და ოჯახის წევრებიც, — ცოტა არ იყოს ამაყად მოიღერა ყელი დიასახლისმა.

— ჩემი სიყვარულის საიდუმლოება იცით რა არის? — გაგანდობთ. სომხებს და ქართველებს რაც კარგი აქვთ, შევისისხლხორცე და იმიტომ ვარ ასეთი. ორი ერის საუკეთესო თვისებები ხომ იცით... და კვლავ გულიანად გაიცინა.

ვერცხლის ქორწილი უკვე გადაიხადეს ჯაფარიძეების ოჯახში, სულ მალე ოქროს ქორწილსაც იზეიმებენ.

— ვნატრობდი ხოლმე, ისეთი მეუღლე შეხვდეს ჩემს ქალიშვილს, ჩემი ვალოდიას ნახევარი მაინც იყოს-მეთქი. აქაც გამიმართლა. ყველგან მიმართლებს, ქართველების რძალი რომ ვარ, ალბათ იმიტომ, — გაიხუმრა ქალბატონმა სედამ.

გვიან საღამოს გამოვედით მათი ოჯახიდან. რბილი ვერცხლისფერი ეფინა ახალციხეს. ამას ქუჩების განათებაც ემატებოდა და საზეიმო ელფერი დაჰკრავდა ირგვლივ გარემოს. რამდენ ასეთ ოჯახში ენთო სინათლე, ყველას ვერ ჩამოვთვლით, მათ შორის ბევრი ხანდაზმული ოჯახია — დრომ და ცხოვრებამ რომ გამოსცადა მათი სიმტკიცე, ბევრიც ახალგაზრდაა, ახლად საძირკველჩაყრილი.

რაოდენ ლამაზად მოჩანს ჩვენი დიდი ინტერნაციონალური ოჯახი ამ უძველეს მიწაზე, მაღალმა ზნეობამ და სულიერმა სილამაზემ რომ შეაკავშირა. ქართველს ხომ არასოდეს უცხოვრია უმეგობროდ, რადგან ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა დაამკვიდრა კანონად: „ხალხთა ძმობა განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა".

მ. ანასაშვილი.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ჩვენი თანამშრომლობა სასარგებლო იქნება

თბილისში საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე სამ დღეს მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა თემას „შრომის დაცვა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი". გაეცნენ რა თბილისის ინსტიტუტის ნამუშევრებს, დელეგაციის წევრებმა საბჭოთა მეცნიერებს შესთავაზეს მონაწილეობა მიიღონ მავნე გამონაფრქვევების, უკიდურესად დასაშვები კონცენტრაციის დასადგენად ერთიანი ნორმების შექმნისათვის გათვალისწინებულ სამუშაოებში. მათ აგრეთვე ითხოვეს დახმარება შრომის უსაფრთხოების სტანდარტების შექმნაში: დაინტერესდნენ თბილისის ინსტიტუტის სპეციალისტთა ნამუშევრებით, რომლებმაც შექმნეს დაცვის ინდივიდუალური საშუალებები ქვეყნის სხვადასხვა კლიმატური ზონებისათვის.

ფინელი სტუმრები ეწვივნენ მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტს, სადაც გაეცნენ სწავლულთა და წარმოების მუშაკთა შრომის პირობებს, მათ დაათვალიერეს რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობანი.

ფინელი სტუმრები მიიღო საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. მ. სირაძემ, სადაც დელეგაციის წევრებს გააცნეს რესპუბლიკის პროფკავშირთა მუშაობა და გარდაქმნის შესაბამისად დასახული შემდგომი ამოცანები.

კოოპერატივები საჭიროა

კიდევ ერთი, მაგრამ უჩვეულო კოოპერატივი გაატარეს რეგისტრაციაში დღეს ოჩამჩირის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოში. იგი შექმნეს ქალაქის საშუალო სკოლების საუკეთესო პედაგოგებმა და მოამზადებს უფროსკლასელებს უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით კოოპერატივის მსმენელები ათ თვეში გაივლიან ინსტიტუტში შესვლისათვის განკუთვნილი პროგრამის მთლიან კურსს მშობლიურ და რუსულ ენებში, ისტორიაში, მათემატიკასა და ფიზიკაში.

ფართოვდება კოოპერაციული მოძრაობა რაიონში. შედარებით ცოტა ხნის წინათ აქ გახსნილმა სხვადასხვა პროფილის კოოპერატივებმა მარტო შარშან მოსახლეობას გაუწიეს 1.693 ათასი მანეთის მომსახურება. თუ ბანკიდან კოოპერაციის განვითარებისათვის აიღეს 438 ათასი მანეთი სესხი, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ბანკში ნაღდი ფულით უკვე შეიტანეს 922 ათასი მანეთი.

უცხოეთში

საკდესი იუწყება

24 აგვისტო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

გამოქვეყნდა დღის წესრიგი

ნიუ-იორკი. აქ გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 43-ე სესიის წინასწარი დღის წესრიგი, რომელიც მიმდინარე წლის 20 სექტემბერს გაიხსნება. ამ დოკუმენტის 140-ზე მეტი პუნქტი შეიცავს საერთაშორისო პრობლემების ფართო სპექტრს — განიარაღებით და რეგიონული კონფლიქტებით დაწყებული და მრავალი სოციალურ-ეკონომიკური საკითხით დამთავრებული.

მომავალი სესიის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, როგორიც არის გამალებული შეიარაღების და განსაკუთრებით ბირთვული შეიარაღების ალაგმვა, კოსმოსურ სივრცეზე მისი გავრცელების თავიდან აცილება, აგრეთვე მრავალმხრივი ძალისხმევა განიარაღების საქმეში, კერძოდ, ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნის საკითხები, ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვა, ქიმიური იარაღის აკრძალვა.

ამ უდიდესი საერთაშორისო ფორუმის მონაწილეები განიხილავენ მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ამერიკაში, ავღანეთსა და აფრიკის სამხრეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და კვიპროსში, აგრეთვე მსოფლიოს მთელ რიგ სხვა რაიონებში.

● ირან-ერაყი

ერაყის საჩივარი

ბაღდადი. ერაყმა საჩივარი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფს, რომელშიც ბრალად დასდო ირანს, რომ ჯარები გაგზავნა ფრონტის ხაზთან მას შემდეგ, რაც გასულ კვირას ოფიციალურად გამოცხადდა ცეცხლის შეწყვეტა ირან-ერაყის ფრონტზე. ინას სააგენტოს ცნობის თანახმად, ერაყის მთავრობამ მთავარ სამხედრო მეთვალყურეს გენერალ ს. იოვიჩს აცნობა, რომ ირანელებმა საინჟინრო თვალსაზრისით განამტკიცეს თავიანთი ჯარების პოზიციები ფრონტის სამხრეთ უბანზე და გაგზავნეს მაშველი ძალები სხვა რაიონებში, და განაცხადა, „თუ ირანის ჯარები არ დაიხევენ წინანდელ პოზიციებზე, ჩვენ ამას ძალით ვაქნევინებთო".

ნიკოზია. როგორც ირან-ერაყის კონფლიქტში ცეცხლის შეწყვეტისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, ირან-ერაყის ფრონტის 1200 კილომეტრი სიგრძის მთელ ხაზზე საერთოდ კვლავ მშვიდი ვითარებაა. ორივე ქვეყნის საჩივარს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევათა გამო განიხილავენ.

● ავღანეთი

ბრძოლაში ექსტრემისტებთან

ქაბული. ახალი დანაშაული ჩაიდინა ავღანეთის შეურიგებელმა ოპოზიციამ, როცა ნანგარჰარის პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრს — ქალაქ ჯელალაბადს „დედამიწა — დედამიწის" კლასის 12 რაკეტა დაუშინა. ერთი კაცი მოკლულია, ორი დაიჭრა. დაინგრა ერთი სახლი.

ქვეყნის შეიარაღებული ძალები ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით განაგრძობენ ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში მოქმედი ბანდფორმირებების ლიკვიდაციის ოპერაციებს. როგორც ბახთარის სააგენტო იუწყება, ყანდაარის პროვინციის არღანდაბის მაზრაში მოსპეს მეურიგებელთა შეიარაღებული ჯგუფი, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი, ჩაიფუშა ლაღმანის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრის — ქალაქ მეთარლამისათვის ცეცხლის დაშენის ცდა. ოპერაციის შედეგად ხელთ იგდეს რაკეტული ჭურვების გასაშვები დანადგარი და მისი დიდძალი ტყვია-წამალი.

18 კაცი მოკლულია ფარვანის პროვინციაში მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედე დაჯგუფებებს შორის შეტაკებათა შედეგად. 21 კაცი მოკლეს, 15 დაჭრილია — ასეთია ბალხის პროვინციაში ჰექმათიარის ფორმირებათა შორის ძმათამკვლელი ომის შედეგი.

ბადახშანში, სამანგანში, ლაღმანსა და სხვა პროვინციებში იმართება მღვდელმსახურთა, ტომების ბელადთა და უხუცესთა, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მიტინგები და კრებები, რომლებზეც ერთსულოვნად უჭერენ მხარს ქვეყანაში განხორციელებული ეროვნული შერიგებისა და ჟენევის შეთანხმებათა განხორციელების პოლიტიკას.

◆ აშშ

მიიღეს ახალი კანონი

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რეიგანმა, რომელიც ამჟამად ლონგ-ბიჩში (კალიფორნიის შტატი) იმყოფება, ხელი მოაწერა კანონპროექტს ვაჭრობის შესახებ, რომლის თითქმის სამ წელიწადს ამუშავებდა კონგრესი. ახალი კანონმდებლობა ითვალისწინებს ფართო რეფორმებს ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პოლიტიკასა და პრაქტიკაში, უფლებას ანიჭებს პრეზიდენტს მოაწყოს „გლობალური სავაჭრო მოლაპარაკების ახალი რაუნდი" ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან პარტნიორებთან.

კანონპროექტში დასახული ღონისძიებანი, კერძოდ, ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების „საპასუხო ღონისძიებათა" გამკაცრებას იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც, ვაშინგტონის აზრით, მიმართავენ „უსამართლო სავაჭრო პრაქტიკას", საიმპორტო ტარიფების სისტემის გადასინჯვას.

◆ კამპუჩია

ტაილანდის პროვოკაციები

პნომპენი. როგორც კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, მიმდინარე წლის 7-18 აგვისტოს ტაილანდის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები არაერთგზის შეიჭრნენ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში, ტაილანდის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა კამპუჩიის ტერიტორიას. ამ ქვეყნის შეიარაღებულმა ჯგუფებმა თითქმის ათჯერ დაარღვიეს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები.

ფოტოფაქტი



◆ ჩილე

სანტიაგოში გაიმართა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს გაათავისუფლონ პოლიტიკური პატიმრები, პინოჩეტის საიდუმლო პოლიციამ სხვადასხვა წლებში რომ დააპატიმრა. დემონსტრაციის მონაწილეებმა, რომლებიც მეტწილად ქალები — რეჟიმის დილეგებში მყოფთა ნათესავები იყვნენ, ქალაქის ცენტრში რკინის ღობეზე ჯაჭვით დაიბეს თავი. პოლიციამ გარეკა დემონსტრაცია, დააპატიმრა რვა მონაწილე.

სურათზე: პოლიციელი ჭრის ჯაჭვს, რომლითაც დემონსტრაციის მონაწილე პროტესტის ნიშნად არის მიბმული.

აპ-საკდესის ტელეფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

⊙ **მეხიკო.** მექსიკის ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ დაიწყო თავისი მასშტაბით უპრეცედენტო ოპერაცია მარიხუანის, ყაყაჩოს და ნარკოტიკების შემცველი სხვა მცენარეების პლანტაციების სალიკვიდაციოდ. მექსიკის გენერალური პროკურორის ცნობის თანახმად, ოპერაციაში მონაწილეობას მიიღებენ არმიისა და ფედერალური პოლიციის ქვეგანაყოფები — სულ 10 ათასზე მეტი კაცი.

⊙ **ბუენოს-აირესი.** 17 ქვეყნის, მათ შორის კუბისა და ნიკარაგუის დელეგაციები მონაწილეობენ ლათინური ამერიკის პარლამენტის მე-12 ასამბლეაში, რომელიც არგენტინის დედაქალაქში გაიხსნა. არ არიან ჩილეს წარმომადგენლები, რადგან ამ ქვეყანაში 1973 წლის სექტემბერში გადატრიალების შემდეგვე პარლამენტი დაითხოვეს. ბუენოს-აირესში არ არიან არც მრავალტანჯული ჰაიტის წარმომადგენლები, სადაც პარლამენტი აგრეთვე გარეკილია.

⊙ **მანაგუა.** ნიკარაგუამ საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიმართა თხოვნით მატერიალური დახმარება გაუწიონ ქვეყნის ატლანტის სანაპიროზე ძლიერი წყალდიდობებისაგან დაზარალებულებს. სტიქიური უბედურების რაიონში იმყოფება 25 ათასზე მეტი კაცი, რომლებსაც სჭირდებათ სურსათი, მედიკამენტები და სხვა დახმარება.

80-იანი წლების მსოფლიო

რომ არ აღმოვჩნდეთ სტატისტების როლში

რა არის ევროპა?

ამ ერთ კითხვაზე მრავალი პასუხი შეიძლება გაიცეს და ყოველი მათგანი თავისებურად სწორი იქნება. ჯერ ერთი, ევროპა ქვეყნიერების ნაწილია, რომელიც ჩრდილოეთით ნორდკინის კონცხიდან სამხრეთით ტარიფის კონცხამდე, დასავლეთით როკის კონცხიდან აღმოსავლეთით პოლარულ ურალამდე რომ მდებარეობს. ეს არის თითქმის თორმეტი ათასი მილიონი კვადრატული კილომეტრი ხმელეთი და ზღვა შვიდასი მილიონი მოსახლეობა. ევროპა ბერძნულ მითოლოგიაში ფინიკიის მეფის აგენორის ასულია, თეთრი ხარის სახემიღებულმა ზევსმა რომ მოიტაცა. ამტკიცებენ, რომ სახელწოდება „ევროპა" წარმოდგება სემიტური სიტყვისაგან „ერებ" ან „ირიბ", რაც მზის ჩასვლას ნიშნავს. მაგრამ ევროპა კაცობრიობის ცივილიზაციის ამონთებაა: საბერძნეთი, რომი, აღორძინება, დიდი საფრანგეთისა და ოქტომბრის რევოლუციები. მეორე მხრივ, ევროპა უსასრულო ომებია — შვიდწლიანიდან დაწყებული ასწლიანით დამთავრებული, ჯვაროსნული ლაშქრობები და კოლონიალიზმია, იმპერიალიზმი და ფაშიზმია.

ერთნი ევროპაზე ლაპარაკობენ როგორც გიგანტურ მუზეუმზე და თანაც მოფერებით სიტყვა „მოხუცსაც" დასძენენ, მაგრამ ეს „მოხუცი" ახლა მეორე სიჭაბუკეს განიცდის, გაბედულად იწევს სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში სამეტოქეოდ ახალ სამყაროს — ამერიკას და ამომავალი მზის ქვეყანას იაპონიას, ევროპის „ჭაღარა ქვებისაგან" აიგო „მაჟინოს ხაზი" და პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, „ზიგფრიდის ხაზი" და კიოლნს ტაძარი. და ბოლოს, გაჩნდა შემზარავი ნეოლოგიზმი — „ევროსიმა", რომელიც იმის საფრთხეს ქმნის, რომ ქვა ქვაზე არ დარჩეს, „ჭაღარა" იქნება იგი თუ „ნორჩი".

ევროპა, მთელი მისი ეროვნული და სოციალური მოზაიკის მიუხედავად, ერთი მთლიანი „ორგანიზმია". მართალია, ჯერ კიდევ არ გადაშენებულან ზევსები, თეთრი ხარის სახის ნაცვლად დახავსებული ანტიკომუნისტების სახეს რომ იღებენ, რომლებსაც წინანდებურად ევროპის მოტაცება სურთ, თუმცა არა მთლიანად. ისინი ცდილობენ მის ფარგლებს გარეთ გაიტანონ საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნები, ესე იგი მისი ოთხი მეხუთედი და რეალური მოსახლეობის თითქმის ნახევარი! ისინი ცდილობენ დავიწყებას მისცენ დიდი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწის შარლ დე გოლის ფორმულა „ატლანტიკიდან ურალამდე" ერთიანი ევროპის შესახებ. დე გოლი კი სოციალისტი არ ყოფილა. გულახდილად რომ ვთქვათ, ეს ბოლო განმარტება ზედმეტიც კია. სოციალიზმისათვის მობოდიშება საჭირო არ არის, მით უმეტეს, რომ იგი სისხლით და ხორცით ევროპული მოვლენა, საერთო-ევროპული ფენომენია.

ამრიგად, ის, რაც გადაშლილია ნორდკინის კონცხიდან ტარიფის კონცხამდე, როკის კონცხიდან პოლარულ ურალამდე, ჩვენი საერთო-ევროპული სახლია. მისი ბინადარნი — ევროპელები — პატრონები და მეზობლები არიან. სიბრძნე და დრო უკარნახებს მათ იყვნენ მზრუნველი პატრონები და კეთილი მეზობლები. წინააღმდეგ შემთხვევაში სახლი მოირყევა, ხოლო ბინადარნი ვერ გადარჩებიან. ვამბობთ, რომ ჩვენს მრისხანე რაკეტულ-ბირთვულ საუკუნეში, ეკოლოგიური და დემოგრაფიული ძვრების საუკუნეში ჩვენი პლანეტა დედამიწა პატარა და მყიფე გახდა. კიდევ უფრო დაპატარავდა და მყიფე გახდა ევროპა, სადაც მასობრივი მოსპობის საშუალებების რაოდენობა კულტურის ძეგლთა რიცხვს აღემატება, სადაც პირისპირ დგას ორი მძლავრი სამხედრო ბლოკი — ნატო და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. ევროპა, რომელმაც მსოფლიოს მისცა მოლიერის, სტანისლავსკისა და ბრეხტის თეატრი, „სამხედრო მოქმედების თეატრად" იქცა. მაგრამ ეს აბსურდის თეატრიც კი არ არის, ვინაიდან ფარდის ახდის დროც კი არ დარჩება. დრო პროლოგსა და ფინალს შორის აპოკალიფსად შეირწყმება, რომელიც ვერ გაარჩევს სად არის აღმოსავლეთი, სად — დასავლეთი, სად — სოციალიზმი და სად—კაპიტალიზმი. როგორც ჩერნობილის ტრაგედიამ ცხადყო, ეს შეიძლება მოხდეს „ჩვეულებრივი ომის" შემთხვევაშიც კი, თუ, დარტყმის საფრთხე შეექმნებათ ევროპის ატომურ სადგურებს.

ახლა, როცა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული სიმძლავრეების ნაწილის მოსპობის პერსპექტივა რეალურად იქცა, ახალი პოლიტიკური აზროვნება სულ უფრო ძლიერად იპყრობს „მოხუცი ევროპის" გონებას. „საერთო-ევროპული სახლის" იდეა ამგვარი ძვრების ნაყოფია. ამა წლის ივლისში ვარშავაში ყოფნისას მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: „ახლა მნიშვნელოვანია ის, რომ საერთო იდეიდან გადავიდეთ იმის შექმნაზე, რასაც შეიძლება სამუშაო ნახაზი ვუწოდოთ, ხოლო შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყოთ ახალი ევროპის შენობის აღმართვა".

სწორედ ეს „სამუშაო ნახაზი" შესთავაზა ევროპის ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა, რომლის სხდომა პოლონეთის დედაქალაქში გასულ თვეში გაიმართა. მხედველობაში მაქვს განცხადება ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკების თაობაზე. იგი გამომდინარეობს იქიდან, რომ ევროპისა და საყოველთაო უშიშროების ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვს ევროპაში — ატლანტიკიდან ურალამდე შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების არსებით შემცირებაზე გადასვლას, და რომ მოლაპარაკება ამ საკითხზე უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ, 1988 წელსვე.

ამ მოლაპარაკების პრიორიტეტული ამოცანაა ორივე კავშირის სამხედრო პოტენციალების რადიკალური შემცირება, კონტინენტზე ისეთი მდგომარეობის მიღწევა, როცა ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულებას დარჩებათ მხოლოდ თავდაცვისათვის საჭირო ძალები და საშუალებები, რომლებიც საკმარისი არ იქნება მოულოდნელი თავდასხმისა და შეტევითი ოპერაციების განხორციელებისათვის. წამოყენებულია ამ ისტორიული პრიორიტეტული ამოცანის სამ ეტაპად გადაწყვეტა.

მოლაპარაკების პირველი ეტაპის საბოლოო მიზანი უნდა იყოს ორ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში შემავალ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების და ჩვეულებრივი შეიარაღების რიცხვის დაახლოებით თანაბარი (შეწონასწორებული) კოლექტიურ დონეთა მიღწევა, რომლებიც ნებისმიერი მხარის ახლანდელ დონეზე ნაკლები იქნებოდა.

ასეთი დონეების მიღწევის პროცესი უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად საერთო-ევროპული და რეგიონული მასშტაბით. უწინარეს ყოვლისა მიზანშეწონილი იქნებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა ევროპაში ორი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩვეულებრივი შეიარაღების ცალკეული სახეობებისა და შეიარაღებული ძალების დისბალანსისა და ასიმეტრიის ურთიერთაღმოფხვრის საკითხებზე.

პირველი ეტაპის საბოლოო მიზნის მიღწევა საფუძველს შეუქმნიდა ჯარებისა და შეიარაღების მომდევნო არსებითს ურთიერთშემცირებას.

მეორე ეტაპზე ყოველი მხარის შეიარაღებული ძალები შემცირდებოდა დაახლოებით 25 პროცენტით (დაახლოებით 500 ათასი კაცით) მათი საშტატო შეიარაღებიანად. მესამე ეტაპზე განხორციელდებოდა შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემდგომი შემცირება, ორივე მხარის შეიარაღებულ ძალებს ექნებოდათ მხოლოდ თავდაცვითი ხასიათი.

ცხადია, ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების პროცესის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იქნებოდა მოულოდნელი თავდასხმის საფრთხის შემცირებისა და აღმოფხვრის ღონისძიებები. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ინფორმაციის გაცვლისა და მკაცრი, ეფექტიანი კონტროლის პრობლემას. მოლაპარაკების მაგიდაზე დაიდო აგრეთვე საბჭოთა ინიციატივა, რომ შეიქმნას ევროპის ცენტრი სამხედრო საფრთხის შესამცირებლად, როგორც ნატოსა და ევროპის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის ადგილი. მუდმივად მომუშავე ასეთი ცენტრი შეიძლება გადაიქცეს სასარგებლო სტრუქტურად, რომელიც აამაღლებდა ევროპის მშვიდობის საიმედოობას.

ეს და სხვა წინადადებები რომ შეიტანეს, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ მშვიდობისა და თანამშრომლობის, ევროპის, „საერთო-ევროპული სახლის" ერთობლივი მშენებლობის იდეით, სადაც დამკვიდრდებოდა კეთილმეზობლობისა და ნდობის ატმოსფერო. ამ პროცესის საძირკველია ჰელსინკის საბოლოო აქტების დებულებები, რომელთა მტკიცედ დაცვა ემსახურება ევროპის სახელმწიფოებს შორის ურთიერთგაგებისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის განმტკიცებას. ამ მიზანს შეესაბამება აგრეთვე ოფიციალური ურთიერთობის დამყარება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას შორის.

ევროპას დიდი წარსული და რთული აწმყო აქვს. მაგრამ მის ხალხებს ხელეწიფებათ, აქვთ საიმისო ძალა და გონება, რომ ევროპის მომავალი კიდევ უფრო დიადი იყოს, ყოველგვარი სირთულის მიუხედავად.

ახალი პოლიტიკური სიტუაცია და ახალი პოლიტიკური აზროვნება ევროპას უნიკალურ შანსს აძლევენ უფრო მაღლა ასწიოს, როგორც სპორტსმენები ამბობენ, თამასა ჯერ კიდევ გაუგონარ სიმაღლეზე და შეეცადოს მის დაძლევას XXI საუკუნის დამდეგს. მე ვგულისხმობ თამასას, რომელიც დაყენებულია „სამხედრო ბლოკების მოსპობის" ნიშნულიან სიმაღლეზე. გაზეთ „ზიუდდოიჩე ცაიტუნგში" გამოქვეყნებულ სტატიაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი წერდა: „ლოდინის ტაქტიკა და სკეპტიკური დამოკიდებულება ვნებს ჩვენს საკუთარ ინტერესებს, და იმის ნაცვლად, რომ აღმოვჩნდეთ ადამიანთა მდგომარეობაში, რომლებმაც გაბედულად გამოიყენეს ისტორიული შანსი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის, ჩვენ შეიძლება მსოფლიო ისტორიის სტატისტებად ვიქცეთ". მსოფლიო ისტორია, ცივილიზაციის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. და არასოდეს ევროპელებს სტატისტების როლი არ უთამაშიათ. ნუთუ ახლა შემოიფარგლებიან ისინი ამ როლით? არა, ეს არ უნდა მოხდეს, ეს არ მოხდება! „საერთო-ევროპული სახლი", რომლის სამუშაო ნახაზი ხელთა გვაქვს, ამაყად აღიმართება მსოფლიო ცივილიზაციის ცათამბჯენებს შორის!

მელორ სტურუა.

საკდესის რეპლიკა

რადიო „თავისუფლება", კომენტატორ ასკერ ბორჩალის

20 აგვისტოს თქვენ აზერბაიჯანულ ენაზე ეთერში წაიკითხეთ სტატია, რომელიც დასათაურებულია „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი იძიებს სუმგაითის ამბებს". იგი განმარტავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე ა. ფ. კატუსევთან ინტერვიუს, რომელიც გამოქვეყნდა „იზვესტიაში" 18 აგვისტოს, და რომელსაც წამძღვარებული ჰქონდა სათაური „სუმგაითი: პროკურატურა გამოძიებას განაგრძობს".

თავიდანვე შეცდომა მოგვივიდათ, როცა ერთმანეთში აურიეთ ორი სრულიად სხვადასხვა საბჭოთა კომპეტენტური უწყება, შემდეგ კი, როგორც იტყვიან, გაუტიე და გაუტიე. მომყავს ნაწყვეტები თქვენი სტატიის ზუსტი თარგმანიდან:

„18 აგვისტოს მაღალი თანამდებობის საბჭოთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი იძიებს სუმგაითში მომხდარ უწესრიგობებს. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილემ ალექსანდრე კატუსევმა საკდესს აცნობა, რომ გაიმართა ამ უწესრიგობათა შვიდი მონაწილის სასამართლო პროცესი. მაგრამ მას დაწვრილებით არაფერი უთქვამს".

ამის მსგავსი ინტერვიუში არაფერი ყოფილა. ამის მოწმენი არიან გაზეთ „იზვესტიის" მილიონობით ხელმომწერი, აგრეთვე რესპუბლიკური გაზეთების მკითხველები აზერბაიჯანსა და სომხეთში, სადაც ეს ინტერვიუ აგრეთვე გადაიცა.

შემდეგ. **„94 დაპატიმრებულს შორის არიან უშიშროების ორგანოების მუშაკებიც. ამიტომ ძნელია განისაზღვროს, თუ ვის ედება ბრალად 32 კაცის მკვლელობა".** ესეც სიცრუეა. მაგრამ ვგრძნობთ, სად უკაკუნებთ...

და კიდევ. **„არსებული მონაცემების თანახმად, გენერალური პროკურატურის ბიურომ სასამართლოს გადასცა სამხედრო წარმომადგენელთა საქმეები, რომლებმაც ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობანი. კატუსევმა თქვა: „სუმგაითის ამბების გამოძიებას აბრკოლებენ სხვადასხვა ხერხით".** ესეც ინტერვიუში არ ყოფილა. თქვენს საყურადღებოდ — სსრ კავშირის პროკურატურას არა აქვს და არც არასდროს ჰქონია ისეთი აპარატი, როგორიცაა ბიურო.

ალექსანდრე კატუსევმა თქვენი, მაპატიეთ, ნაყალბევის გამო შემდეგი განაცხადა: „ჩემს ინტერვიუში ნათქვამია, რომ სუმგაითისათვის ტრაგიკულ დღეებში მართლაც რომ თავის სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ მილიციის მუშაკები, რომლებმაც ვერ შეძლეს ოპერატიულად მიეღოთ გადამწყვეტი ზომები წესრიგის დამყარებისა და მოქალაქეთა უშიშროების დაცვისათვის ექსტრემალურ პირობებში. სსრ კავშირის პროკურატურა იძულებული იყო აღეძრა სისხლის სამართლის საქმე მილიციის მუშაკთა მიმართ. გამოძიება კი დავიწყეთ აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დაუდევრობისათვის".

ჩემი მხრივ კი დავძენ: არ ვიცი, ვინ იყო ეთერში გაშვებული, მეტი რომ არა ვთქვათ, არაობიექტური ინფორმაციის ავტორი, მაგრამ თქვენს ხმაში, კოლეგა ასკერ ბორჩალი, გაისმოდა იმ დროის სევდა, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც ცივი ომის წლები. სამწუხაროა.

საკდესის კორესპონდენტი ვ. იტკინი, რომელმაც ინტერვიუ ჩამოართვა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილეს.

კომენტარი

კვლავ ბორჯომის შესახებ

1988 წლის 10 აგვისტოსა და 14 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ წერილებში შესაბამისად მოთხრობილი იყო ბორჯომის წყლის უხარისხობასა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ აგრომრეწვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ ოპერატიულად განხორციელებულ ქმედით ღონისძიებებზე. მკითხველებს კვლავ შევპირდით დამატებით გავაცნობდით „ბორჯომის" საწარმოო გაერთიანებიდან მიღებულ პასუხს. რედაქციამ მართლაც მიიღო ეს პასუხი, რომელსაც ხელს აწერს „ბორჯომის" საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ა. შონია. მასში აღნიშნულია, რომ 1988 წლის 15 აგვისტოს შედგა საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" ადმინისტრაციის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული კომიტეტის, სახალხო კონტროლისა და შრომითი საბჭოს გაფართოებული სხდომა, სადაც განიხილეს „კომუნისტში" გამოქვეყნებულ მასალებში აღნიშნული კრიტიკული ფაქტები.

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, — ნათქვამია პასუხში — ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა ბორჯომის წყლის ხარისხის გაუმჯობესება, ამ ბოლო ხანებში გაიზარდა შემთხვევები წყალში უცხო მინარევების აღმოჩენისა და მის უგაზობაში.

მართალია, მინერალურ წყალში გაზის ნაკლებობის ძირითადი მიზეზები არაა გაერთიანებაზე დამოკიდებული (უხარისხო ბოთლი, უხარისხო საცობები) მაგრამ მეტი მომთხოვნელობით რომ მოვკიდებოდით მიღებული მასალების ხარისხს, პროდუქციის უგაზობის შემთხვევები გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

რაც შეეხება მინერალურ წყალში უცხო მინარევებს — ეს არის მხოლოდ და მხოლოდ იმ პირთა უპასუხისმგებლობის ბრალი, რომლებიც უშუალოდ ხარისხზე აგებენ პასუხს.

სტატიაში ამის შესახებ სავსებით სამართლიანად იყო მითითებული. კოლექტივისათვის ამაზე სამარცხვინო ფაქტი არ არსებობს. ეს არის საამქროს უფროსების, საამქროს ცვლის უფროსების უპასუხისმგებლობის, მათ მიერ თანამშრომლებისადმი კონტროლის შესუსტების შედეგი.

მართალია, ჩამომსხმელი ხაზები ძლიერ ამორტიზებულია და სათანადოდ ვერ რეცხავს დაბინძურებულ ბოთლებს, ამას ისიც ემატება, რომ ვაჭრობიდან ბრუნდება ძლიერ გაჭუჭყიანებული ბოთლები, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს მოვადუნოთ ყურადღება და მაქსიმალურად არ ვიზრუნოთ ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებისათვის. მსგავსი შემთხვევების აღმოსაფხვრელად და ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის №1 ჩამომსხმელი ქარხნის ხელმძღვანელობას დაევალა მიიღოს გადამჭრელი ზომები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ამ მიმართულებით მომთხოვნელობა გაზარდონ მათზე დაქვემდებარებულ სამსახურებზე და ხელმძღვანელებზე, სისტემატურად განიხილონ ხარისხის მდგომარეობის საკითხი. გაზეთში გამოქვეყნებულ ფაქტთან დაკავშირებით №1 ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორს გ. ფოფხაძეს გამოეცხადა საყვედური. გაერთიანების მთავარი ინჟინერი გ. მეტრეველი დასჯილია საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის კოლეგიის მიერ, ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი თ. სტაჟაძე გამოშვებული პროდუქციის ხარისხის საკითხში მომთხოვნელობის შესუსტებისათვის და დროულად ზომების მიუღებლობის გამო გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დაინიშნა №1 ჩამომსხმელი ქარხნის ლაბორატორიის გამგედ, მეთაური ქარხნის ლაბორატორიის გამგეს ე. თომაევას თანამშრომლებისადმი მომთხოვნელობის შესუსტებისა და საამქროს ლაბორანტებისადმი უკონტროლობის გამო გამოეცხადა სასტიკი საყვედური და თუ რადიკალურად არ გარდაქმნის მუშაობას, განთავისუფლებული იქნება დაკავებული თანამდებობიდან. გაერთიანების მთავარი ტექნოლოგი ე. ლამბრიანიდი ტექნოლოგიური რეჟიმების დარღვევებისადმი კონტროლის შესუსტებისათვის განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დაინიშნა №1 ჩამომსხმელი ქარხნის ტექნოლოგად, მეთაური ქარხნის ჩამომსხმელი საამქროს უფროსი იმსახურებს მოხსნას, მაგრამ გავითვალისწინეთ, რომ ის დასჯილია ბორჯომის პარტიის რაიკომის მიერ და გამოცხადებული აქვს საყვედური პირად საქმეში შეტანით, დავტოვეთ თანამდებობაზე, და თუ ძირფესვიანად არ გარდაქმნის მუშაობას, სამუშაოდან განთავისუფლდება.

ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის, პროდუქციის ხარისხზე ყურადღებისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის, რამაც ძირითადად განაპირობა უხარისხო პროდუქციის გაშვება, მეთაური ქარხნის ჩამომსხმელი საამქროს ...

ᲒᲣᲨᲘᲜ რედაქცია დაინტერესდა, ამ ორ კვირაში სავაჭრო ობიექტებს როგორი ხარისხის ბორჯომი მიაწოდეს. გავესაუბრეთ რუსთაველის პროსპექტზე მდებარე კალინინის რაისურსათვაჭრობის სპეციალიზებული მაღაზიის „ბორჯომის" გამყიდველს ზინა აფხაზიშვილს. მან გვითხრა:

— ჩვენს მაღაზიაში, მართლაც რომ, დიდძალი სხვადასხვა გემოვნების ხალხი შემოდის, განსაკუთრებით ბევრნი არიან უცხოელები. უნდა ვთქვა, რომ ერთ კვირაზე მეტია ბორჯომის ხარისხი შეიცვალა, პროდუქცია, რომელიც ქარხნიდან მივიღეთ, სუფთაა, არ შეიმჩნევა უცხო მინარევები, ამასთან წყალი გაზიანია, მომხმარებელი კმაყოფილია და ბორჯომსაც მეტს ვყიდით. მაგრამ ისევ პრობლემად რჩება ეტიკეტების საქმე, ზოგჯერ იგი მომძვრალია, ან უმნოდ აქვს მიწებებული. მომხმარებელს კი გვინდა ლამაზი ბოთლი მივაწოდოთ.

ოქტომბრის რაიონის, პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე მინერალური წყლების მაღაზიის გამგის მოვალეობის შემსრულებელმა ნატალია ფიცხელაურმა გვითხრა, ... მომხმარებელს პრეტენზია არ ... კი ბორჯომი თითქმის ჩაწოლილ... ნიდან მიღებული ახალი პარტია ... ბევრ ბოთლს ეტიკეტები ისევ ...

კიროვის რაისურსათვაჭრობის ... ლურ მაღაზიაში ადმინისტრატ... ძემაც იგივე აზრი გამოთქვა.

რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ... თითქოს მდგომარეობა მთლიან... ლიყოს, მაგრამ უკეთესობა იგ... სისტემატურად მიადევნებს თვა... წყლის ხარისხს.

გუშინ — დღეს — ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

კვლავ ვიწვევთ ლაშქრობაში

„ბორჯომს" საავადმყოფო ტრანი

„სიმაგუკა"

„მეას სიმპარული შუქი მიმოვაას"...



კონტაქტები, თანამშრომლობა

ქართული ფილმები პარიზში

სპორტის ამბები

ჭაბუკთა ასპარეზობაზე

სატურნირო ორბიტა

ᲣᲐᲜᲘᲡᲐᲮᲚᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘ

ჯანმრთელად ყოფნის ხელოვნება

მოაქვს შვება და ხალისი

ტელევიზია — ხუთშაბათი, 25 აგვისტო



КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434